პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

ს. ქ. პ. ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და საქრევკომის ორგანო

5 მარტი კვირა

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4. რედაქტორი ყოველ დღე ... დილ. ...
ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერთო №

№ 51 კვირა, 5 მარტი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი კვირა, 5 მარტი 1922 წ. № 51

ორშაბათს, 6 მარტს, საღამოს $6\frac{1}{2}$ საათზე,

კავშირების დიდ დარბაზში მოხდება

ამიერ-კავკასიის პროფკავშირების

## პირველი ყრილობა

გახსნაზე მოწვეულია, გარდა დელეგატებისა გადამწყვეტი და სათათბირო ხმით, აგრეთვე პროფკავშირების გამგეობის წევრები და საქარხნო კომიტეტების თავმჯდომარეები (ან მდივნები).

ყრილობის კომუნისტური ფრაქციის სხდომა დანიშნულია 6 მარტისათვის დღის 12 საათზე პროფკავშირების პატარა დარბაზში.

---

კვირას, 5 მარტს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს რევკომის თეთრ დარბაზში შესდგება საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელ არმიელთა და მატროსთა დეპუტატების

## საბჭოების ცენტრალ. აღმასრულებელ კომიტეტის პირველი სხდომა.

---

კვირას, 5 მარტს. დღის 1 საათზე, საქართველოს რევკომის შენობაში ოთახი № 22 შესდგება საქართველოს კომპარტიის

## თბილისის კომიტეტის პლენუმის სხდომა

მოწვეულია პრეზიდიუმები: ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი სამეურნეო საბჭოსი, საქართველოს პროფკავშირების ცენტრალური საბჭოსი, რუსეთის პროფკავშირების ცენტრალურ საბჭოს და პროფკავშირების საბჭოს ფრაქციის ბიუროსი.

დღის წესრიგი: 1. მუშების და წარმოების მდგომარეობა წარმოებების სამეურნეო საფუძვლებზე გადასვლის გამო. 2. ტარიფის შესახებ.

თბილ. კომიტ. მდივანი: ლოლობერიძე.

---

## უნდა შევქმნათ საქართველოს წითელი არმია

უნდა შევქმნათ საქართველოს წითელი არმია!—აი ლოზუნგი, რომელიც გადმოისროლა დღეს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების ერთგულმა თავდადებულმა გუშაგმა, საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ.

ეს ლოზუნგი საქართველოს წითელი არმიის შექმნისა დაადასტურა და მისი სისრულეში მოყვანა გადაუდებლათ სცნო საბჭოთა პირველმა ყრილობამაც, რომელმაც დაავალა თავის ორგანოს, სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, საჭირო ზომების მიღება და რაც შეიძლება მალე მისი ცხოვრებაში გატარება.

წითელი არმია ეს ის შეიარაღებული ძალაა, მუშებისა და გლეხებისაგან შემდგარი, რომელიც ერთგულათ დარაჯობს და იცავს ყოველგვარ თავდასხმისაგან, იქნება ის შიგნიდან თუ გარედან, მშრომელთა ხელისუფლებას, საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას.

არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია არსებობა, თუ მას არ იცავს და მის განკარგულებაში არაა შეიარაღებული ძალა ჯარის სახით. ეს უკანასკნელი სახელმწიფოს ერთი მიუცილებელი მხარეთაგანიცაა.

და ამას საჭიროებს არა მარტო ბურჟუაზიული ან სხვა არა პროლეტარული სახელმწიფო, არამედ ისეთი ხახევრათ სახელმწიფოც კი, როგორიცაა საბჭოთა რესპუბლიკა, რომლის არსებობასაც ვერას შემთხვევაში ვერ ურიგდება და ვერ ინელებს არა მარტო შინაური მტერი, რომელიც არასდროს არ კარგავს იმედს დაამხოს ის, არამედ არც ერთი არა საბჭოთა რესპუბლიკაც, არც ერთი არა მშრომელთა სახელმწიფო. ამის აშკარა დამამტკიცებელი და მაჩვენებელია რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის არსებობის ოთხი წლის ისტორია, რომელიც სავსეა განუწყვეტელი სასტიკი სამოქალაქო ომებით, როგორც შინაური კონტრრევოლიუციის, ისე გარეშეს წინააღმდეგაც.

ამიტომ რუსეთის მუშებმა და გლეხებმა დროზე შეიგნეს თავის ერთგული დარაჯის, შეიარაღებული და გაწვრთნილი წითელი არმიის შექმნის აუცილებელი საჭიროება და დიდი ენერგიით შეუდგნენ გაალმასებულ სამოქალაქო ომის დროს მისი შედგენისა და მოწყობის საქმეს.

და კიდევაც შექმნეს ის.

რუსეთის მუშებისა და გლეხების თავდადებული მუშაობით დღეს რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ ფედერაციას მოეპოვება ისეთი ერთგული და თავდადებული შეიარაღებული ძალა, რომელიც შიშის ზარს ცემს მუშათა კლასის ყველა მტრებს და საერთოდ მთელ საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციას.

რუსეთის მუშებისა და გლეხების წითელი არმია იცავს არა მარტო რუსეთის მშრომელთა მასსებს ყოველგვარ თავდასხმისაგან, არამედ ის ანთავისუფლებს და ძმურ დახმარებას უწევს სხვა ხალხების დაჩაგრულ მასსებსაც, და ამ მხრივ ის არაა ნაციონალური არმია, ის უმეტესათ ინტერნაციონალურია. სწორედ მისი დახმარებითა და შემწეობით განთავისუფლდენ საქართველოს მშრომელთა მასსები მყვლეფელთა და მათი ერთგული აგენტების, მენშევიკების უხეში ბატონობისაგან.

დღეს ის იმყოფება ჩვენში, საქართველოში და მუდამ მზათაა ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს თავის ძმებს, საქართველოს მუშებსა და გლეხებს, თუ კი მათი ხელისუფლება რაიმე საფრთხის წინაშე დადგება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თვითონ ჩვენ გულზე ხელები დავიკრიფოთ და მუდამ სხვისი შემყურე ვიყოთ. ჩვენ ენერგიულათ და თავდადებულათ უნდა მოვკიდოთ ხელი საქართველოს მუშურ-გლეხური წითელი არმიის შედგენა-მოწყობის საქმეს და არ დავიშუროთ ამისთვის არაფერი.

როგორც სხვა დარგებში ვესწორდებით, ისე ამ სამხედრო დარგშიაც უნდა გავუსწორდეთ ჩვენ ჩვენს რუსეთელ მოძმე მუშებსა და გლეხებს და დავანახვოთ მათ, რომ ჩვენც შეგვიძლიან თავდადებული ბრძოლის წარმოება მშრომელთა მასსების ხელისუფლების დასაცავათ და დავიკავოთ ერთი პატარა ფლანგი იმ საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციის ფრონტისა, რომელზედაც ოთხი წლის განმავლობაში მარტო ერთად ერთი რუსეთის წითელი არმია აწარმოებდა სასტიკ და გაფთრებულ ბრძოლას მთელი მსოფლიოს კონტრ-რევოლიუციის ყველა შეიარაღებულ ძალების წინააღმდეგ.

ჩვენ უნდა შევქმნათ ქართველი მუშებისა და გლეხებისაგან შემდგარი რევოლიუციონური წითელი არმია დაუყოვნებლივ და საჩქაროთ. უნდა შევესვენოთ ჩვენი რუსეთის წითელი არმიის იმ ნაწილებს, რომლებმაც გაგვანთავისუფლეს და დღიდან ამ განთავისუფლებისა შეუსვენებლათ სდარაჯობენ ჩვენს საბჭოთა ხელისუფლებას.

მაშ არ დავიშუროთ არაფერი ამ წითელი არმიის შექმნისათვის! გადასძახოთ ყველას:

ყველა და ყველაფერი საქართველოს წითელი არმიისათვის, მისი შექმნისა და მოწყობისათვის!

ს. ანდრიაძე.

---

## დახმარების კვირეული წითელ არმიელთათვის

სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობამ ერთხმათ დაადგინა შეფობილათ მიიღოს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ნაწილები კავკასიის ცალკე არმიისა. ამ გადაწყვეტილებას ღრმა კმაყოფილებით შეხვდა ყველა ის, ვისთვისაც რევოლიუციის გამარჯვება ამიერ-კავკასიაში და კერძოთ საქართველოში მიაჩნია თავის საკუთარ საქმით და თავის რევოლიუციონური შემოქმედების მიზნათ.

წითელი არმია, ნაწილები კავკასიის ცალკე არმიის, ეს ის ძალაა, რომლის ძმური დახმარებით ბოლო მოეღო ამიერ-კავკასიის კონტრ-რევოლიუციას. მისი როლი დიდია და ინტიმიური ჩვენი რესპუბლიკების ცხოვრებაში და ეს არა მარტო განვლილი სამხედრო ეპიზოდების თვალსაზრისით, არამედ იმ მშვიდობიანი აღმშენებლობითი მუშაობის მარითაც, რომელსაც ხშირათ ასრულებენ არმიის ნაწილები. ჩვენი მიზანი უნდა იყოს ჭეშმარიტათ მამაშვილური ჭეშმარიტად ძმური და მეგობრული გრძნობით შემოვვლოთ ამ გმირულ წითელ ჯარს, რომელიც სდგას დღეს ჩვენში, როგორც დარაჯი რევოლიუციის და რომლის მეოხებითაც ჩვენ საშუალება გვეძლევა ვაწარმოოთ ენერგიული მუშაობა ადგილობრივი ნაციონალური წითელი კადრების შესაქმნელათ.

იგივე გრძნობა გვავალებს, რომ რესპუბლიკის ყველა დაწესებულებებმა როგორც ცენტრალურმა ისე ადგილებზე, ყოველმხრივი დახმარებით ხელი შეუწყონ წითელი არმიისათვის გამოცხადებულ კვირეულის ჩატარებას. მისი მიზანია შეწირულებათა მოგროვება და დახმარება როგორც კაზარმის შინაური მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, გასაწმენდათ, უკეთ მოსაწყობათ აგრეთვე თვით წითელ არმიელის ქონებრივი მდგომარეობის წინ წაწევა, მათი დახმარება ფულით, პროდუქტებით, სხვა და სხვა მასალით.

წითელი ჯარი ეს ჩვენი დარაჯია. ზურგი, თავის მხრით, უნდა იყნეს ამ ჯარის მოსარჩლე, მისი დამხმარე და მეგობარი. მან უნდა იგრძნოს განსაკუთრებით ამ კვირის განმავლობაში, რომ მას არტყია ატმოსფერა ძმური და მეგობრული განწყობილების, რომ ის მართლა შვილია ჩვენი ქვეყნის, რომელიც თავის ძალისა და ღონის ფარგლებში ზრუნავს მის მდგომარეობაზე.

დავეხმაროთ წითელ ჯარს ფულით, პროდუქტებით, მასალით, შრომით კაზარმის პირობების და მისი მატერიალური ცხოვრების გასაუმჯობესებლათ.

---

## თეთრგვარდიელთა პრესა

უდიდესი საჭირბოროტო საკითხი, რომელიც იკრებს თავისკენ მთელ ყურადღებას ევროპის სხვა და სხვა კუთხეში გაბნეულ ემიგრანტებისას, არის საკითხი რუსეთში დაბრუნების შესახებ. ამით ღრმათ დაინტერესებულია ორ მილიონიანი ევროპის ემიგრაცია. ვინ არ გინდათ არ შედიოდეს დღეს ამ ემიგრაციაში. ბურჟუა მსხვილი, საშუალო, წვრილი, ინტელიგენტი, ბიუროკრატი თეთრგვარდიელი ჯარის კაცი, თეთრგვარდიელი აკიცრობა, უბრალო ობივატელი და სხვა. მათი საერთო რიცხვი „მეტია ვიდრე მოსახლეობა ერთ ერთ დამოუკიდებელი რესპუბლიკის, რომელიც აღმოცენდა ძველი რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე“. სანამ ეს მასა თითებზე ითვლიდა ბოლშევიკური რეჟიმის აღსასრულის დღეებს და არ დაჰკარგოდა იმედი თავის კერასთან ჩქარა დაბრუნების, კითხვა შინ წასვლის შესახებ ასეთი ავადმყოფური სიმწვავით არ იდგა და ყველა რაღაც საიმედო მოლოდინში სცხოვრებდა. დრო გადიოდა, მაგრამ საბჭოთა რეჟიმი არ ირღვეოდა ემიგრაციის მასა სასოწარკვეთილებამ მოიცვა. ბუნებრივია, რომ ამ კითხვაზე ალაპარაკდნენ ემიგრანტების ყველა გაზეთები, რომლებიც გამოდის დღეს საზღვარ გარეთ. ამავე საკითხზე სწერს ვ. ჩერნოვის ყოველ კვირეული ჟურნალი „ვოლია როსსიი“ (№ 3, 23 იანვ. 922, პრაგა). ის ეხება ემიგრაციის სულიერ მდგომარეობას.

„მისთვის—ამბობს წერილის ავტორი | უმთავრესი გადამწყვეტი მომენტი არის ლტოლვა სამშობლოსა და ნათესავებისაკენ, მისწრაფვა თავის ხალხში მოღვაწეობისთვის, თავისი არსებობის უზრუნველყოფა საზღვარ-გარეთ და იმედი, რომ ასეთ მდგომარეობას ადგილი არ ექნება რუსეთში“.

მთელი ემიგრაცია შეიძლება გაიყოს ორ უმთავრეს კატეგორიათ. რეაქციონური პოლიტიკოსების, რუსეთში დაბრუნება ვერ წარმოუდგენიათ სხვანაირათ ვიდრე „თავისუფლათ მოფრიალე დროშებით“, როდესაც საბჭოთა რეჟიმი დანგრეული იქნება. დიდი უმრავლესობა კი ემიგრაციის აღარ დაგიდევს ამ პოლიტიკურ მოსაზრებებს, ყოველ შემთხვევაში დღეს, როდესაც ისინი სულიერათ მოღლილნი არიან. ავტორის გადმოცემით ისინი აყენებენ კითხვას მხოლოთ იმის შესახებ „რეპრესიებით ხომ არ შეხვდებიან მათ ბოლშევიკები და იშოვნიან თუ არა ისინი სამუშაოს რუსეთში“.

ამნაირათ ნელ ნელა იწყებს დენას რუსეთისაკენ ემიგრაციის მასა და ამნაირათ ბუნებრივია მუშაობის ასპარეზი ვიწროვდება ყველა ჯურის რეაქციონერებს. ეს არის ერთი აშკარა მაჩვენებელი საბჭოთა რეჟიმის გამაგრების და რუსეთის თეთრგვარდიელთა მდგომარეობის ძირიან ბუდიანათ შერყევის.

---

## გენუის კონფერენციის გადადების გამო

**რესპუბლიკის სარევოლიუციო სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის ბრძანება**

მოსკოვი. 2 მარტი. (რადიო). 28 თებერვალს რესპუბლიკის სამხედრო რევოლიუციონური საბჭოს თავმჯდომარემ, ამხ. ტროცკიმ, წითელ ლაშქრისა და ფლოტისადმი გამოსცა შემდეგი ბრძანება: „გენუის კონფერენცია გადადებულია. წითელი ლაშქარი და ფლოტი დიდის ყურადღებით ადევნებდენ თვალ-ყურს ყველა წინასწარ მოლაპარაკებებს საერთაშორისო კონფერენციის შესახებ მუშები და გლეხები, და აგრედვე ლაშქარში ყველა ფიქრობდა, რომ გენუაში მოხერხდებოდა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან შეთანხმების მიღწევა, რაც უზრუნველყოფდა საბჭოთა საზღვრებს, რომ ჩვენი ძალები გადაგვეყვანა მშვიდობიან შრომაზე. წითელ ლაშქართან ერთად მთელ ქვეყნას იმედი ქონდა შემდეგში რომ შესაძლებელი იქნებოდა შემცირება რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალის და ძველ ჯარის-კაცთა დათხოვნა. მაგრამ ეს ანგარიში და იმედები ანტანტის მთავრობებმა ხელახლად მოსპეს. ომში გამარჯვებული ქვეყნების მთავრობებს, რომლებმაც დაგზავნეს კონგრესზე მოწვევის ცნობები და თვითონვე დანიშნეს მისთვის ვადა, ეხლა აშკარად სურთ ჩაშალონ იგი. ამასთანავე ყოველ მხრიდან მოდის ხმები და ცნობები იმის შესახებ. რომ თეთრგვარდიელები ქვეყნის ყოველ კუთხეში ხელახლად ამოძრავდენ—გაზაფხულის მოახლოვების გამო და ხელახლად აღიმაღლეს ხმა ბანდების შემოსევისა, საწყობების აფეთქებისა და მკვლელობების შესახებ. საბჭოთა დიპლომატია ყოველ ღონეს ხმარობს წინანდებურად, რომ მოახერხოს კონფერენციის მოწვევა, რომ (გაიოტოვებულია) ამჟამად არ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ ჩვენი საზღვრების ნამდვილ უშიშროებაში. ამისათვის ვბრძანებ: განუმარტეთ თვითეულ წითელ ლაშქრელს და მატროსს აზრი შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობისა. სარდალთა და კომისართა შემადგენლობამ გამოიჩინოს უდიდესი სიფხიზლე და აწარმოვონ გაძლიერებული მუშაობა ჯარის მოსამზადებლად, და მტკიცედ გახსოვდეთ, რომ საბჭოთა ფედერაციის ნამდვილი დამოუკიდებლობა და მის სოციალისტურ აღმშენებლობის ხელშეუხებლობა დამოკიდებულია წითელი ლაშქრის და წითელი ფლოტის შეკავშირებისა და ძმარობაზე.

---

## საქართველოს დამშეულთა დასახმარებლათ

## მთავრობის განკარგულება

**საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ სამი დღის განმავლობაში შემოწირულების აკრებაზე.**

1. საქართველოს დამშეულთა სასწრაფოდ და წარმატებით დასახმარებლად მოეწყოს საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე სამდღიური, ნებაყოფილებით აკრეფა თვითნებითი შემოწირულების ასაკრებათ ფულით, პროდუქტებით, სურსათით და სათესლე მარცვლეულებით.

2. აკრეფა დაინიშნოს 11, 12 და 13 მარტისთვის.

3. აკრეფის ჩატარება დაევალოს საქართველოს დამშეულთა დამხმარე სამაზრო კომიტეტებს, ხსენებულ კომიტეტებში ისეთი პირების კოოპტაციით, რომელნიც შეიძლება ხელის შეწყობას აკრეფისთვის ფართე მასსებში.

4. საერთო ხელმძღვანელობა აკრეფისა რესპუბლიკანურ მასშტაბში დაეკისროს საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტს.

5. ყველა შეგროვილი ნივთები, პროდუქტები, და სათესი მასალა უნდა მიიბაროს სასურსათო სახალხო კომისარიატის საწყობებს, ადგილობრივი სამაზრო სასურსათო კომისრების პასუხისმგებლობაში, სადაც ინახება მთავარი კომიტეტის განკარგულებამდე.

შემოწირულება ფულით, ოქროს ან ვერცხლის ნივთები 3 დღის განმავლობაში, აკრეფის შემდეგ, ადგილობრივმა კომიტეტებმა უნდა გააგზავნონ მთავარი კომიტეტის განკარგულებაში.

7. სრული ანგარიში აკრეფის შედეგებზე, უნდა წარედგინოს მთავარ კომიტეტს ერთი კვირის განმავლობაში აკრების გათავების შემდეგ.

8. რესპუბლიკის ყველა დაწესებულებები ვალდებულნი არიან გაუწიონ კომიტეტებს აკრეფის ჩატარებაში სრული და ყოველმხრივი დახმარება.

რევკომის თავმჯდომარის მოადგ. კვირკველია.
საქართ. დამშეულთა დახმარების მთავარი კომიტ. თავმჯდომარე ფ. მახარაძე
რევკომის მდივანი სალარიძე.

## ინსტრუქცია

**საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ შეწირულების მოკრების შესახებ მთავრობის დადგენილების ცხოვრებაში გატარებისთვის.**

**(საქართველოს დამშეულ მოსახლეობის დამხმარე მთავარ კომიტეტის დადგენილება 1922 წლის 2 მარტის რიცხვით).**

1. მთავრობის დადგენილების თანახმად ა. წ. მარტის 11-დან 13 მდე ამ უკანასკნელის ჩათვლით, საქართველოს ს. ს. რ. ტერიტორიაზე რესპუბლიკის დამშეულ მოსახლეობისთვის მოკრებენ შეწირულებას, რომლის უმთავრეს დანიშნულებას შეადგენს მოსახლეობის ფართე მასსებს მონაწილეობა მიაღებინოს მთავარ კომიტეტს ყოველნაირ დახმარებაში საშუალების მიცემით, სათესლე მასალის დასამზადებლათ, დამშეულ მაზრების გლეხობისთვის.

2. ამ მიზნის მისაღწევად უნდა გატარებულ იქნას შემდეგი:

ა) დაუყონებლივ ორი დღის განმავლობაში ამ ინსტრუქციის მიღების შემდეგ, საქართ. დამშეულ მოსახლეობის დამხმარე სამაზრო კომიტეტებმა უნდა შეუდგნენ შეწირულების მოკრების მოწყობას, რისთვისაც კოოპტაციით უნდა მიიღონ თავიანთ შემადგენლობაში მოსახლეობის ისეთი წარმომადგენლები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოკრების წარჩინებით ჩატარებას.

ბ) უნდა მოახდინონ მობილიზაცია საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციების მოთაოსნე მუშაკებისა ტეხნიკურ მუშაობის საწარმოებლად.

გ) უნდა მოიხმარონ ყოველი საშუალება ამ შეწირულების მოკრების დღის და მიზნის პროპაგანდისთვის.

დ) უნდა გამართონ კონცერტები, წარმოდგენები, კაბარე, კინო-დემონსტრაციები და მათი შემოსავლის ნაწილი გადაიდვას დამშეულთა სასარგებლოდ.

ე) უნდა რაც შეიძლება ფართედ მოიკრიბოს პროდუქტები, ფული და დასათესი მასალა.

3 შეწირულების მოკრებისათვისვე აუცილებლად საჭიროა მოეწყოს შაბათობები და კვირაობები, ამასთან მათ მონაწილეების ხელფასი უნდა გადაიდვას დამშეულთა სასარგებლოთ.

3. შეწირულების მოკრების წესრიგს და მის ტეხნიკას, აღრიცხვის და კონტროლის მოწყობას, აგრეთვე შეწირულების შესანახად და დასაცველად ადგილების მოწყობას განაგებენ სამაზრო კომიტეტები ადგილობრივ პირობების მიხედვით.

4. მთელი მოკრების საერთო ხელმძღვანელობა რესპუბლიკის მასშტაბით ევალება საქართველოს დამშეულ მოსახლეობის დამხმარე მთავარ კომიტეტს (მთავრობის დადგენილების მე-7 მუხლის თანახმად), რომელიც მოთავსებულია რუსთაველის პროსპექტზე, სახლი № 24.

5. ტეხნიკურ საქმიანობის ადგილებზე აწარმოებენ აღმასკომების ორგანოები, რომლებმაც ყველა თავისი ძალები უნდა აამოქმედონ შეწირულების მოკრების საუკეთესოდ ჩასატარებლად.

6. მთელი მოკრებილი სათესლე მასალა და შემოწირული ნივთები უნდა მიტანილ იქნან სასურსათო სახ. კომისარიატის საწყობებში, სადაც ინახებიან მთავარი კომიტეტის განკარგულებამდე.

7. მთელი შემოწირული ფული და ძვირფასი ნივთები უნდა გაიგზავნოს მთავარ კომიტეტის სალაროში.

8. შემოწირულების მოკრების შესახებ ფული და მატერიალური სრული ანგარიში უნდა 7 დღის განმავლობაში მის გათავების შემდეგ წარედგინოს მთავარ კომიტეტს.

9. ადგილობრივ პირობების მიხედვით, ეს მოკრება შეიძლება დანიშნულ იქნას სხვა სამ დღეს, მაგრამ იმ პირობით კი, რომ საბოლოო ანგარიში წარედგინოს კომიტეტს არა უგვიანეს ა. წ. 1 აპრილისა.

10. შეწირულების მოკრების და მოწყობისთვის პასუხისგება ეკისრებათ პირადად მარტო კომიტეტების თავმჯდომარეებს.

საქართველოს დამშეულ მოსახლეობის დამხმარე მთავარ კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.
პასუხისმგებელი ორგანიზატორი ი. ბირიუკოვი.
მდივანი ა. შენაბდე.

## დახმარებას თხოულობენ

**დეპეშები**

**ცხინვალი**

განადგურებული ოსეთის დამშეული ბრბოები მოაწყდა აღმასრულებელ კომიტეტს. საჭიროა სასწრაფო დახმარება.

აღმასკომის თავმჯდომარე (ხელს აწერს).

**ოზურგეთი**

გაცნობებთ, რომ გურიაში 60,000 მცხოვრებია დამშეული. საჭიროა დაუყონებლივ იქნეს აღმოჩენილი დახმარება.

**ახალ სენაკი**

სენაკის მაზრაში ნაესაკოვი, სეფიეთის და მარნის თემებში დამშეულია ათი ათასამდე სული. იყო შემთხვევა ოთხი კაცის შიმშილისაგან სიკვდილისა. მოგვაშველეთ დახმარება.

სენაკის მაზრ. აღმასკომის თავმჯდომარე მელქაძე.

# საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობა

## სასურსათო პოლიტიკა

### ამხ. ა. ერქომაიშვილის მოხსენება

ამხანაგებო, პოლიტიკური საკითხის შემდეგ, ჩვენ პირველად გვიხდება მოხსენების გაკეთება იმის შესახებ, თუ როგორი პოლიტიკა აწარმოვა ერთ ერთმა ეკონომიურმა კომისარიატმა, სახელდობრ, სასურსათო კომისარიატმა. მე არ მაქვს საშუალება მთლიანი მოხსენება გაგიკეთოთ აქ მთელი ჩვენი მუშაობის შესახებ ამ ერთი წლის განმავლობაში, ამის შესახებ ალბათ მოგვიხდება დაწვრილებითი მოხსენების გაკეთება იმ ცენტრალურ კომიტეტში, რომელსაც აქ აირჩევთ და იმ საბჭოებში, რომლებსაც მე აქ ვესწრები, გადაათვალიერებს ის კომისია, რომელიც იქნება ამ კომიტეტის მიერ არჩეული. გასულ წელს, 26 თებერვალს შესდგა თბილისში რევოლიუციონური კომიტეტი. დილით 7 საათზე გამოტანილი იყო დადგენილება, რომ სასურსათო საკითხს მიქცეოდა სათანადო ყურადღება და იქნა არჩეული რაზმიდან ამხანაგი ამ საკითხის მოსაგვარებლად. საუბედუროთ ჩემდა, მეც მოვხვდი ამ ამხანაგთა სიაში, რომლებთან ერთად მას შემდეგ ჩვენ გვიხდება აუტანელ პირობებში სასურსათო საკითხის მოგვარება საქართველოში. ეს ის დრო იყო, როდესაც თბილისში გადამალული ჰქონდათ მესაკუთრეებს სურსათი, და აი ამ დროს ჩვენ მოგვიხდა შემუშავება იმ პრინციპებისა, რომელთაც უნდა დავყრდნობოდით სასურსათო საკითხის მოგვარების საქმეში. რასაკვირველია, იმ დროს საქართველოში ბეგარის შემოღების შესახებ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ეკონომიური პოლიტიკა იმ დროს ჩვენთვის გარკვეული არ იყო. მხოლოდ ერთი რამ იყო აშკარა ჩვენთვის, ის, რომ საქონლის გაცვლაგამოცვლის, ან ნაღდი ფულით შეძენის დროს, უშუალო კავშირი უნდა გაგვება ქალაქისა და სოფლის შორის. იქ, სადაც საკითხი იდგა სურსათის შეძენის შესახებ, სადაც ჩვენ ამ საკითხს ცხოვრებაში პრაქტიკულად ვატარებდით, ცხადი იყო ის, რომ ამ საკითხის მოგვარების დროს მჭიდრო კავშირი გაგვება ქალაქსა და სოფლის შორის. საჭირო იყო ეს პოლიტიკურ თვალსაზრისითაც, და ჩვენი ერთ ერთი მიზია იყო უშუალო კავშირის გაბმა სოფელთან. ჩვენში ისტორიულ ყაჩაღურ საშუალებებით სარგებლობდენ და ამგვარად იძენდნენ ადგილობრივ ნაწარმოებს, და ასაღებდენ სხვაგან, მაგალითად, პურეულობას; და ჩვენ ეკონომიურ მოწინააღმდეგებისათვის საშუალება გაჩნდა სპეკულიაციის საწარმოებლად ისეთ აუცილებელ საგნებზე, როგორიც არის პურეულობა. ეს იმას მოასწავებდა, რომ არევ-დარევა შეიტანეს ისედაც არეულ ეკონომიურ პირობებში. ამიტომ ჩვენთვის აშკარა იყო, რომ საჭირო ზომების მიღება და ეს ზომები გამოიხატება იმაში, რომ, სადაც ჩვენ შეძლება და საშუალება გვქონდა შეგვეძინა ადგილობრივი ნაწარმოები, პურეულობის თუ სხვა საგნების სახით, აქ სხვას არავის არ ვუშვებდით. იქ კი, სადაც ეს საშუალება არ გვქონდა და ადგილობრივ გლეხობას სჭირდებოდა თავისი ნაწარმოების გასაღება, ჩვენ ხელს არ ვუშლიდით. ჩვენ მაშინ არ გვქონდა, შესაძლებელია, წარმოდგენილი ის ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელსაც შემდეგ დავადექით. ჩვენ არ ვამბობდით, ან მჭიდრო უშუალო კავშირი, კერძო ინიციატივის მოსპობის სახით დავიჭიროთ სოფელთან, ან უნდა დავადგეთ ნამდვილ კაპიტალისტურ გზას. ჩვენ ისე გვწამდა, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა არის, რაღაც საშუალო, არ არის პირდაპირ დამყარებული ძველ ბურჟუაზიულ წყობილებაზე და არც საბჭოთა ეკონომიური პოლიტიკის შემოღება, ჩვენს სინამდვილეში. ეს ერთგვარი დათმობაა, ორთა შუა პოლიტიკაში, რომელიც გამოიხატება ამ ორ პოლიტიკის შორის. ასე გვესახოდა ჩვენი მიზანი, ჩვენი მიმართულება, ამას ვატარებდით მთელი წლის განმავლობაში და ალბად ამ წლის შემდეგ შეიძლება დაისვას საკითხი—სწორი იყო ეს პოლიტიკა, უფრო მეტი ნამდვილ, ახალ ეკონომიური პოლიტიკას ჩვენ მუშაობაში, თუ რაიმე შეცდომა გვქონდა. საქართველოში ბევრია ისეთი ორგანიზაციები, რომლის საშუალებით ჩვენ უნდა გვემუშავა სოფლისა და ქალაქის დამოკიდებულების დროს. ასეთებია კოოპერატივების ორგანიზაციები. ამ ორგანიზაციებს ეკონომიურ ცენტრებში ჰყავთ თავისი წარმომადგენლების მიერ შექმნილი კავშირები. ეს ეკონომიური კავშირი არის ჩასახული იქ, სადაც ისტორიულად საქართველოს კუთხეებში ბაზრები იქმნებოდენ. სწორეთ იმ ნიშნით არის დაარსებული ეს კავშირები, რომ კონკურენცია გაეწიათ კერძო ინიციატივისათვის მაგრამ, საუბედუროდ, ამ ორგანიზაციების გამოყენება ვერ შევძელით, იმიტომ რომ სტრუქტურა—წესი შენებისა ისეთი ჰქონდათ, რომ შეუძლებელი იყო ჩვენთვის ამ ორგანიზაციების საშუალებით მუშაობა. აქ არსებობს სამ საფეხურიანი სისტემა ანგარიშვალდებულობის. ამიტომ ბოლოს და ბოლოს ჩვენ მიერ გაცემული საქონელი, სანამ მიაღწევდა გლეხამდის, ძვირდებოდა, მე ვამბობ, ეს მდგომარეობა ჩვენი შექმნილი არ არის. კოოპერატივთა კავშირების ყრილობაზედ ეს საკითხი დასმული იყო მაგრამ პრაქტიკულად ვერ გადაჭრეს ამიტომ ჩვენ მოგვიხდება ამ საკითხის გადაწყვეტა—შეიძლება დეკრეტის საშუალებითაც. მე საქართველოს კოოპერატივთა ყრილობაზედაც ვლაპარაკობდი და აქაც ვამტკიცებ, რომ საქართველოს კოოპერატივების გამოყენება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ მისი ანგარიშვალდებულობის სისტემა შეიცვლება. მეორეს მხრივ არც ის არის საკვირველი, რომ ეს აპარატი ვერ გამოიყენეთ, ვინაიდან რუსეთის კოოპერატივებმაც ვერ შესძლეს გაემართლებინათ რუსეთის საბჭოთა მთავრობის იმედები. იყო ასეთი ლოზუნგი გასროლილი: ის რაც სახალხო კომისარიატს მოეძებნება, გადაეცეს კოოპერატივებს, ვინაიდან ეს არის ორგანო, რომელიც შესძლებს ამ საქონლის გადაცვლას, მაგრამ იმათ ამის პირნათლად შესრულება ვერ შესძლეს. ძველმა კოოპერატორმა ამხ. ფრუნკინმა საკითხი ასე დასვა მთავრობაში: „გაანთავისუფლეთ მთავრობა კოოპერატივის კლანჭებიდან“. ეს იმას ნიშნავს, რომ ბეჟარებელი ხელშეკრულებები, რომლის ძალით კოოპერატივებს გადაეცა ბეჟარებელი საქონელი, მას არ აქვს გადაცვლილი და მის მაგიერი ეკვივალენტი არ აქვს მიღებული, თუ ვერ შესძლო ეს რუსეთის კოოპერაციამ, რომელსაც 50 წლის ისტორია აქვს და გამოცდილ კოოპერატორების ხელშია, რომელთაც შეუქმნიათ ერთგვარი ტრადიცია,—რა გასაკვირველია, რომ ის სუსტი, ჩვილი და ახალი კოოპერაცია, რომელიც წარმოიშვა მხოლოდ 5 წლის წინეთ, საქართველოში ვერ შესძლებდა სახელმწიფო დავალებების ასრულებას. აი, ამ მიზეზთა გამო, ჩვენ უმთავრეს ნაწილად გვიხდება საკუთარ ძალებზე დაყრდნობა. ასეთი იყო ჩვენი პოლიტიკა საქონლის გადაცვლის დროს. ასეთივე პოლიტიკას ვაწარმოებდით ავრეთვე ფულით შეძენის დროსაც. ჩვენთვის აშკარა იყო ის, რომ რაც ბევრი არ უნდა გაგვეკეთებია ამ დარგში—ჩვენ საქართველოს მოთხოვნილებას პურეულობის მხრივ ვერ დავაკმაყოფილებთ, თქვენ მოგეხსენებათ, რომ საქართველოს არასდროს არ ყოფნიდა თავისი მოსავალი. მაშინაც კი, როდესაც კარგი მოსავალი მოდიოდა. თუ რამდენიმე ასი ათასი ფუთი სიმინდი საზღვარ-გარეთ გადიოდა, სამჯერ და ოთხჯერ მეტი, პური შემოდიოდა რუსეთიდან, ისე რომ საქართველო იკვებებოდა ამ პურით, მე ვამბობ, რომ რა დამზადებაც არ უნდა გვქონოდა საქართველოში, რასაკვირველია, ჩვენი მოთხოვნილებას ჩვენი საკუთარი ძალით ვერ დავაკმაყოფილებდით. როდესაც აქ დაისვა ეს საკითხი მოსკოვის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის წინაშე, რომელიც აქ იყო, მან სთქვა: „თქვენ სასურსათო ბეგარის გაწერის მხრივთაც უნდა გამოიჩინოთ უნარი მართალია, პური არ გყოფნით, მართალია საქართველო თავის პურით ვერ დაიკმაყოფილებს თავის თავს—ეს მართალია, მაგრამ თქვენშიაც არის ისეთი მდიდარი ნაწილი გლეხკაცობისა, რომელთაც შეუძლიან გადიხადონ ბეგარა. ამიტომ თქვენთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს გამოიჩინოთ უნარი ამ დარგში, თუ გსურთ ჩვენგან რაიმე დახმარება აღმოგიჩინოთ, ასე იყო დასმული საკითხი, როცა მივმართეთ მათ სასურსათო დახმარების შ სახეზ. ესეც რომ არ მივიღოთ მხედველობაში აუარებელი ადგილობრივი ნაწარმოები, რომელიც შესაძლებელია საზღვარგარეთ გავიდეს და სამაგიეროდ შემოვიდეს, აუარებელი ადგილობრივი ნაწარმოები მოგვეძებნება, რომელზედაც შეიძლება ბეგარის დადება. აქედან დაიბადა აზრი სასურსათო ბეგარის შემოღებისა საქართველოში.

ამხანაგებო, მე მოგახსენეთ, რომ გარკვეული ხაზი, ახალი ეკონომიური პოლიტიკა თითქმის არავის არ ჰქონდა წარმოდგენილი ეს იყო ხანა საქართველოში საბჭოთა წყობილების შემოღების შემდეგ ჩვენ წარმოდგენილი გვქონდა მხოლოდ ის რომ, თუ დავეყრდნობით კაპიტალისტურ წყობილებას, ვერ დავიწყებთ შენობას საბჭოთა წყობილებისას და მარტო ამ ნიადაგზე ვერ ავაშენებთ პროლეტარულ სახელმწიფოს. ჩვენი აზრი ისეთი იყო, რომ აქ აუცილებლად საჭიროა დავფაროთ იმ დეფიციტის მცირე ნაწილი მაინც, რომელიც ყოველთვიურად უხდება სახელმწიფოს ემისიის გამოცემით. თქვენ იცით, თუ რა არის, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, „უზრუნველი“ ემისიის გამოცემა და ფულების ნიშნების ბეჭდვა და მისი უსაზღვროდ სარგებლობა. თქვენ იცით, რამდენად მეტი ფული გამოდის ბაზარზე, რამდენად მეტი ფული იბეჭდება, იმდენად მეტს აგებს სახელმწიფო ფულის კურსის დაცემით. და თუ რამე რეალური წყარო არ გამოვნახეთ, შეუძლებელი იქნება სახელმწიფოს არსებობა. ეს იყო უმთავრესი აზრი სასურსათო ბეგარის შემოღებისა. მე ვამბობ შესაძლებელია ეს შეხედულება დღეს არ იყოს მისაღები, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მთავარი ფაქტები, დებულებანი, ჩვენი დასაბუთება რევკომში, როდესაც ეს საკითხი ირკვეოდა, ეს იყო, მე ვიმეორებ, რომ მარტო ფულების ბეჭვდით ვერ ავაშენებთ სახელმწიფოს. ასე სცადა ყოფილმა მენშევიკურმა მთავრობამ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მათ წინაშეც საკითხი უკვე ისევე იყო დასმული ბეგარის შესახებ, როგორც ჩვენს წინაშე; ლაპარაკობენ ახალი ეკონომიური პოლიტიკა მოასწავებს ახალ ფინანსიურ პოლიტიკის შემოღებას, იმ მხრივ, რომ იგი ფულს გააჯანსაღებს. შესაძლებელია არსებობდეს სხვა ზომა, მაგრამ მე არ მწამს, რომ ამ აუარებელი ფულების გამოცემის შემდეგ შესაძლებელი იყოს ფულის გაჯანსაღება, რომ ბეგარაზე ხელი ავიღოთ. (ხმა: სწორია). აი ამიტომ ჩვენ შევიმუშავეთ ის დეკრეტი, რომელიც აშკარად ამბობს, რომ გადასახადი სრულიად არ აწევს ღარიბ გლეხკაცობას ტვირთად, პირიქით ღარიბი გლეხკაცობა განთავისუფლებულია სრულიად. ეს აშკარად არის დეკრეტში ნათქვამი: იმას, ვისაც ერთი დესეტინაზე აქვს მოყვანილი პური, ის სრულიად განთავისუფლებულია ბეგარისაგან. ვისაც ნახევარი დესიატინა აქვს დამუშავებული სიმინდი ისიც განთავისუფლებულია ბეგარისაგან ეს გარკვეულად არის აღნიშნული დეკრეტში. ამ გარემოების უკეთ გათვალისწინებისათვის, უკეთ გასაგებად ჩვენ გამოვეცით წიგნაკი, სადაც გარკვეულად არის ნათქვამი ამის შესახებ. ჩვენ ვფიქრობდით რომ ადგილობრივ გამოგვეკლია თითო მეურნის ქონება, რომ შეგვეძლებოდა იმისი ცოდნა, თუ რისი გადახდა შეეძლო თითო მეურნეს ეს საჭირო იყო, იმისთვის, რომ მთავრობის აგენტებს შეცდომა არ დაეშვათ, ან კერძო ინტერესი არ გამოეჩინათ, საჭირო იყო რომ გლეხსაც ნათლად სცოდნოდა რის გადამხდელი იყო ის. მაგრამ საუბედუროდ ეს მოითხოვდა ძალიან დიდ ენერგიას. ამისათვის ჩვენ აქ გავხსენით სამკვირეული კურსები, გაუგზავნეთ ამხანაგებს ინსტრუქციები; მაგრამ იმდენი მომუშავე, რამდენიც რესპუბლიკას სჭირია, ჩვენ ვერ მოვამზადეთ. ყოველ შემთხვევაში ამხანაგებო, აუცილებლად საჭიროა თითო მაზრისათვის ათი—თხუთმეტი კაცი. ჩვენ კი კურსებზე მოვამზადეთ სათანადო ცოდნით, აღჭურვილნი დაახლოებით 80 კაცამდე. თუ რანაირად ცხოვრებაში ატარებენ სასურსათო ბეგარას ეს, რასაკვირველია მთლიანად დამოკიდებულია ადგილობრივ ამხანაგებზე. მე ვამბობ რომ ჩვენ ჩვენი მოვალეობა შევასრულეთ იმ მხრივ რამდენათაც შევძელით. ჩვენ აუარებელი ინსტრუქტორები დავგზავნეთ და ამხანაგებიც მოვამზადეთ. მაგრამ ამ მხრივ ადგილი ჰქონდა შეცდომებს არა თუ ჩვენში, სადაც არ არიან მომზადებული ამხანაგები ამხანაგები ეკონომიურ დარგში, არამედ რუსეთშიაც, სადაც ოთხი წლის განმავლობაში მომზადებული ამხანაგები მუშაობდენ. სხვათა შორის იყო შემთხვევებ რუსეთში, რომ გლეხებს მოჰქონდა სასურსათო ბეგარით გაწერილი სურსათი სანოვაგე იმ დროს, როცა სიაც კი არ იყო ეს მაგალითი იყო რუსეთში და რა გასაკვირველია თუ ჩვენში შეცდომა მოსდით გამოუცდელ ამხანაგებს. ამიტომ ის კომისია რომელიც იყო პირველად არჩეული, ვიწრო წოდებული სამაზრო კომისია, სადაც შედიოდნენ რევკომის წარმომადგენელი, გადასახადთა ინსტრუქტორი და ჩვენი სასურსათო კომისარიატის წარმომადგენელი, ეს სამაზრო კომისია იქნა შეცვლილი და დაარსდა სამეული, რომელსაც ადგილობრივ მიენიჭა უფლება, რომ სადაც შეამჩნევს შეცდომას, უფლება აქვს შესცვალოს და გადახედოს იმდენი, რამდენსაც კანონიერად სცნობს დეკრეტის ფარგლებში. ეს სამეული უკვე შეუდგა მუშაობას და მათ უფლება გადაცემული აქვთ. ასეთია, ამხანაგებო, ჩვენ მიერ მიღებული ბეგარა და ის ტარდება პრაქტიკულად ცხოვრებაში. ბევრი მოწინავე ამხანაგებს ეს ბეგარა მიაჩნია საცილოდ დღესაც, იმიტომ, რომ ეს ბეგარა ჯერ არ არის შეკრებილი. უნდა განვაცხადო, რომ როდესაც რუსეთიდან ჩამოსული ამხანაგები ამას ლაპარაკობენ, ეს არ მიკვირს, მათ არ იციან ჩვენი სინამდვილე, ჩვენი პირობები, მაგრამ გასაკვირველი ის არის, რომ აქ აღზრდილი ამხანაგები ამაში ვერ გარკვეულან. ჩვენ განზრახული გვქონდა თებერვლამდის. არ აგვეკრიფა ბეგარა იმერეთში იმიტომ, რომ იმერეთის სიმინდი მეტად გაფუჭებული იყო წვიმით და აუცილებლად დალპებოდა, რომ დრო არ მიგვეცა გასაშრობათ და თებერვლამდე აგვეკრიფა.

აი ამიტომ ბეგარა არ არის აკრეფილი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას ვერ მოვკრეფთ. მართალია, ერთი შეცდომა კი იყო დეკრეტში, ეს ის რომ იქ ნავარაუდევია გადასახადი ერთი მილიონი ფუთი პური. ეს შეცდომა იყო დაშვებული იმის გამო რომ დეკრეტი გამოვიდა მანამდის ვიდრე გამოირკვეოდა ცუდი მოსავლიანობა როდესაც გამოირკვა, რომ იმერეთში მეტად ცუდი მოსავალია ჩვენ იძულებული ვიყავით შეგვემცირებინა ბეგარა და ერთი მილიონის მაგივრად 470 ფუთი გავწეროთ. მე ვამბობ, რომ თუ აქედან შევკრიბეთ 60 პროცენტი. ეს საგრძნობი ნაწილი იქნება, რაც დამამტკიცებელი იმისა, რომ იმისა შემცირებულია. მე არ ვიღებ მხედველობაში ღვინოს, რომლის შესახებ ზომებია მიღებული. ღვინის შეკრიბება შეიძლება რამოდენიმე ათასი ვედროსი და აქედან უკვე ბევრია შეკრებილი, მაგრამ ამას მხედველობაში არ ვიღებ, მე ვაქცევ ყურადღებას მხოლოდ ხორბალს. დღეს შეკრიბულია საქართველოს იმ ნაწილებში, სადაც ადრე დაიწყეს ბეგარის აკრება, აკრეფ. 50.000 ფუთამდე ხორბალი ეს აღმოსავლეთ საქართველოში, დასავლეთში ჯერ არ დაგვიწყია. ტყუილია იმის ფიქრი, რომ სასურსათო ბეგარა, რომელიც ჩვენ გავაწერეთ შემოსავალზე, არ აკრიფება. მე ვამბობ ეს შესაძლებელია კიდევ არის ერთი საშუალება, რომელიც შეამცირებს ჩვენ დეფიციტს. ეს ის, რომ რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა დაგვეხმაროს. რუსეთმა საქართველო, როგორც ასეთი შეიტანა თავის ბიუჯეტში, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს ერთი წლის განმავლობაში უნდა მისცეს 600.000 ფუთი პური, ე. ი. დაახლოვებით 5 ათასი ფუთი თვეში. ეს დაახლოებით ნახევრად ფარავს ჩვენ მოთხოვნილებას, თუ მივიღებთ მხედველობაში მხოლოდ მუშა მოსამსახურეებს. საერთოდ უნდა მოგახსენოთ, რომ აქ მაქვს ციფრები, საიდანაც სჩანს, რომ საერთოდ მთელ საქართველოს თუ მივიღებთ მხედველობაში როგორც ქალაქს, ისე სოფელს აკლია შვიდი მილიონი ფუთი პური; თუ მივიღებთ იმ ნორმებს, რომელიც აუცილებლად საჭიროა ადამიანისთვის, რასაკვირველია, ამ ნორმას არ აქცევენ ყურადღებას, ამ უკანასკნელ ოთხი წლის განმავლობაში. ამას ხალხი შეეჩვია, ამიტომ შესაძლებელია მოთხოვნილება გავანახევროთ, რომ კრიზისი თავიდან ავიცილოთ, მაგრამ თუ ნორმას მივიღებთ მხედველობაში, აუცილებლივ საჭიროა შვიდი მილიონი. ამის გამო ადვილი გასაგებია თუ რათ არის შიმშილი რაჭაში, განსაკუთრებით შორაპანში და მრავალ სხვა კუთხეებში. ეს ყველასათვის გასაგებია, რადგანაც წელს ჭვაკლია შვიდი მილიონი ფუთი პური.

ამიტომ მე ვამბობ, ამხანაგებო, რომ წელს უმთავრესად, ზაფხულზე ჩვენ დიდი კრიზისი მოგველის. ამიტომ მე ვამბობ, რომ ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა ეხლავე იქნეს მიღებული ზომები ამის შესახებ რამოდენიმე ნაბიჯი გადავდგით. არის დაკვეთილი 150.000 ფუთი სიმინდი შემოტანის შესახებ სათესლის სახით და 150 000 ფუთი მთავრობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ნაწილი ამ უკანასკნელისა გადაიდება დამშეულთა სასარგებლოდ. მაგრამ ეს არ კმარა. მისაღებია აუცილებლად კიდევ სხვა ზომები. მოგახსენებთ ერთ გარემოებაზე, რომელიც ჩვენ ხელს გვიშლიდა წარსულში და დღესაც გვიშლის. აქ შესდგა ეგრედ წოდებული საგარეო ვაჭრობის კომისარიატი, მაგრამ ვინაიდან ფედერაცია ჯერ კიდევ დაკანონებული არ არის, ეს უშლის ხელს, რომ ამ კომისარიატმა ვერ მიიღო იურიდიული სახე აუარებელი კომერსანტები, გამოცდილი კომერსანტები არ მიდიან ამ კომისარიატში და თუ მიდიან, ისიც იმ პირობით, თუ იქ მიიღებენ ოქროს ან ვერცხლს. ჩვენთან კი მოდიან და გვთხოვენ მივცეთ მათ ადგილობრივი ნაწარმოების გატანის საშუალება, მგრამ ჩვენ ამის უფლება არა გვაქვს. ფედერაციის საკითხის მოგვარება ამ საგარეო ვაჭრობის საკითხსაც მოაგვარებს. ჩვენ ჩვენი საგარეო ვაჭრობის საგანი — ხე - ტყე გადავეცით საგარეო ვაჭრობის კომისარიატს, მაგრამ კომისარიატები იქ არ მიდიან და ისევ ჩვენთან მოდიან და ჩვენ გვევაჭრებიან. ამ მხრივ აუცილებლად საჭირო არის იქნეს მიღებული სათანადო ზომები.

მომეცით უფლება დაახლოებით გაცნობოთ თუ რა იქნა დამზადებული ამ ერთი წლის განმავლობაში სასურსათო კომისარიატის მიერ. მე არ შემიძლია დაწვრილებით ჩამოვთვალო ყველა ის სურსათი, რაც ჩვენ დავამზადეთ, მხოლოდ თქვენს ყურადღებას მივაქცევ უმთავრეს საგნებს. მთლად არის დამზადებული მხოლოდ საქართველოს ფარგლებში, იქნება ეს სიმინდი თუ პური სულ ერთია შემდეგ არის დამზადებული აგრეთვე 337.000 ფ. მათ შორის ხორბალი— 278.000 ფ. და ქერი 59.000 ფ. ხორცი 82.000 ფუთი.

საკუთარი მეურნეობას—ეკონომიის საშუალებით დავამზადეთ—?05.000 ფუთი თევზი სხვა და სხვა დაწესებულებებისა და ჯარის ნაწილებისათვის. ეს მთელი წლის განმავლობაში, მარილი — 300.000 ფუთი, რძე — 1.040.000 კრუჟკა, რომელიც უმთავრეს ნაწილად გადაეცემულია ბავშვების ბავშვებისათვის. გვაქვს სხვათა შორის აღებული იჯარით თევზის წარმოება აზერბეიჯანში, საიდანაც მოგვივიდა 15.000 ფუთი და ახლაც სწარმოებს ამ მხრივ მუშაობა, დამზადებულია რამდენიმე ვაგონი. ჩვენ დავამზადეთ იმ თანხით, რომელიც გვქონდა მიღებული მთავრობისაგან 12.000 ფუთი პარკი ეს პარკი გვაძლევს 4 850 ფ გამხმარ პარკს საინტერესოა, რომ 1919 წელს ყოფილი მთავრობას დაუმზადებია 1 500 ფუთი გამხმარი პარკი. შარშანწინ ე. ი. 1920 წელს 4.010 ფუთი, ჩვენ კი 4.840 ფუთი დავამზადეთ. დღეს რომ ვიანგარიშოთ ღირებულება ამ პარკისა, თუ მივიღებთ მხედველობაში კონსტანტინოპოლში არსებულ ფასებს, მისი ღირებულება, იმ ცნობებით რომელიც გვაქვს კომისარიატში, უდრის 374 მილიარდ მანეთს მხოლოდ თუ მივიღებთ მხედველობაში მარსელისა და ლიონის ცნობებს, იქ ნაკლებად ფასობს ე. ი. დაახლოვებით 100 მილიარდ მანეთამდის აღის ამ პარკის ღირებულება. მე არ ვიცი რომელია სწორე ამ ცნობათა შორის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ჩვენ ხელშეკრულება გვაქვს დადებული რუსეთის მიწად-მოქმედების კომისარიატთან, რომლის ძალით ჩვენ ვალდებულნი ვართ მივაწოდოთ მათ ეს პარკი, ისინი კი გვაძლევენ იმ ფასს, რომელიც საზღვარ-გარეთ არსებობს. ამხანაგებო, მწვავე საკითხი რომელმაც ჩვენ თავის დროზე შეგვაწუხა არის ის, თუ რანაირად გაუსწორდეთ ჩვენ ამ პარკის პატრონებს, უნდა მოგახსენოთ, რომ ეს პარკი გლეხკაცობისაგან ნახევრად ნისიად გვაქვს აღებული, იმ პირობით, რომ როდესაც პარკი იქნება გასაღებული, მისი ღირებულება დაუბრუნოთ გლეხკაცობას. ავანსის სახით მიცემული გვაქვს 50,000 მან. ფუთში და დაპირებული ვიყავით გლეხკაცობისათვის მიგვეცა საჭირო მანუფაქტურა. თავის დროზე ჩვენ ვერ შევასრულეთ ეს პირობა, ვინაიდან მანუფაქტურის მიღება დაგვიანდა, და ეს კი ერთგვარ უკმაყოფილებას იწვევდა გლეხკაცობაში და ჩვენ ამხანაგებს აწუხებდენ ადგილობრივ. მაგრამ მე ვამბობ, რომ ეს ჩვენი მიზეზით არ მოხდა. ჩვენ დანამდვილებით ცნობები გვქონდა მიღებული, რომ მანუფაქტურა მოდის რუსეთიდან და ჩვენ ამის იმედით პირობა მივეცით გლეხკაცობას.

მთლად ჩვენი მთავრობის სალაროდან გვაქვს მიღებული 43 მილიარდი მანეთი. ბევრ ამხანაგს ეჭვები ებადებოდა იმის შესახებ, თუ ბოლოს და ბოლოს სასურსათო კომისარიატმა რა უყო ან პური ან სხვა სანოვაგე. ჩვენ ამ მხრივ, ამხანაგებო, მოგვეპოვება საბუთები, რომელთა გადათვალიერება შეგიძლიათ ყოველ წუთს. დღევანდლამდე კი ჩვენ ეს საბუთები არ გვქონდა, ვინაიდან ანგარიშები არ იყო წარმოდგენილი სასურსათო ორგანოების მიერ დღეს ეს საბუთები ჩვენ გვაქვს, და როდესაც ჩვენ გამოვითვალეთ, მივიღეთ მხედველობაში არა მარტო ის ფული, რომელიც მივიღეთ, არამედ ის საქონელიც, რომელიც ჩვენ გადავცვალეთ სურსათ-სანოვაგეზე, მთელი მისი ღირებულება იმის გამოკლებით, რასაკვირველია, რომელიც დარჩენილია სხვადასხვა კოოპერატიულ ორგანიზაციაზე და გამოვიანგარიშეთ გადასატანი ხარჯები. ყველა ეს მივიღეთ მხედველობაში. გამოირკვა რომ პურის ფქვილი გვიჯდებოდა ივლისში 127,000 მან., აგვისტოში—133,000 მან., ოქტომბერში—115,000 მანეთი ნოემბერში—147,000 მან., დეკემბერში—268,000 მან. საშუალოდ გამოდის—149,000 მან. ფუთი. სიმინდი გვიჯდებოდა ივლისში—46,000 მან., აგვისტოში—52,000 მან., სექტემბერში—45,000 მანეთი, ოქტომბერში— 45,000 მან., ნოემბერში—57,000 მ., დეკემბერში—105,000 მ. საშუალოდ 58,000 მანეთად ფული და როდესაც ჩვენ აქედან გამომდინარე ვიანგარიშეთ თუ რა გვიჯდებოდა [illegible] ი პური, გამოვიდა [illegible] ივლისში—1800 მანეთი, აგვისტოში— 1660 მან., სექტემბერში—1770 მან. ოქტომბერში—1770 მან., ნოემბერში—2260 მან., დეკემბერში—3,912 მან. საშუალოდ—5,496 მან. 94 კაპ. გირვანქა. ასეთი არის ღირებულება იმ სანოვაგისა, რომელიც უზის სასურსათო კომისარიატს. მე ვამბობ ეს ხდებოდა იმიტომ, რომ ჩვენ საკუთარ ძალებს ვეყრდნობოდით. შუამავლებთან საქმეს არ ვიჭერდით და ხელს ვუშლიდით სხვადასხვა სპეკულიანტებს ფასების აწევაში. ჩვენ მუშაობას ამხანაგებო, დიდათ აფერხებდა სხვათა შორის, ის მოვლენა, რომ როდესაც აქ საბჭოთა წყობილება დამყარდა, მოხდა ერთი უსიამოვნო მოვლენა, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ თუ მენშევიკების მთავრობა, ვთქვათ თბილისში 40,000 სულს კვებავდა პურით და სურსათით, ჩვენ გვიხდებოდა თითქმის პირველი თვიდან საბჭოთა მთავრობის შემოღებისა მარტო თბილისში— 100,000 სულის რჩენა, მთელ საქართველოში კი ეს აღიოდა 300,000 სულამდე; რასაკვირველია ამას საქართველოს ეკონომიურმა საბჭომ ყურადღება მიაქცია და შესაფერი ზომები იქნა მიღებული. ჩემის აზრით ეს ზომები არ არის ჯერ კიდევ საკმარისი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ერთგვარი ნაბიჯი იქნა გადადგმული და 300,000 სულის მაგივრად აქ იქნა შემოღებული ასეთი წესი: სურსათი ეძლეოდათ მხოლოდ მომუშავეთ, რომელთა რიცხვი 121,000 ადიოდა ჩვენში. ეს შტატი, ეს რაოდენობა ჩვენ შევამცირეთ დაწესებულებებში 68,000-მდე. და ამ უკანასკნელ ხანებში ამ რიცხვმა კიდევ იმატა და აიდა 71,000 მდე. თვიური მოთხოვნილება ამ მოსამსახურეთა უდრის: შაქარი—2,025, ხორცი 10,300 ფ. კარტოფილი—1.8550 ფ., ლობიო— 10,000 ფ., ერბო 1345 ფ., ჩაი 340 ფუთი და სპიჩკა 135,000 კოლ., პური—102,000 ფუთი, მარილი—3,000 ფუთი, საპონი 260 ფ., პილპილი 20 ფუთი, ფურაჟი—50,000 ფუთი.

ასეთია თვიური მოთხოვნილება ჩვენი მუშა მოსამსახურეებისა, რომლებიც უყენებენ მოთხოვნილებას სასურსათო ორგანიზაციებს, ეს მოთხოვნილება ფარავს ჯამაგირის 40 პროც. დაახლოვებით. მე ვამბობ ძველი გამოცდილებით და ახალ პრაქტიკიდან შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ საქართველოს მშრომელ ხალხს არ შეუძლიან რჩენა ამდენი თანამშრომლებისა და აუცილებლად უნდა შემცირდეს რიცხვი და სათანადო ნაბიჯის გადადგმა მოგვიხდება ამ საქმისათვის. მოხდება ეს სხვადასხვა დაწესებულებების შემცირებით, თუ ჩვენ საკუთარ ხელში გადმოსვლით, თუ სხვა ასეთ საშუალებით, ყოველ შემთხვევაში, აუცილებლად საჭიროა ერთგვარი ზომები იყოს მიღებული, რომ ჩვენ მართლა ამ კრიზისიდან გამოვიდეთ.

**ა. მ. ერქომაიშვილის მოხსენების თეზისები, მიღებული ყრილობის მიერ.**

1. ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც კერძო ინიციატორებს ბაზარზე თავისუფლად გამოსვლის უფლებას და შესაძლებლობას აძლევს ცენტრალურ სასურსათო ორგანოს თავისი აპარატის განმტკიცების საქმეში, როგორც ცენტრში, ისე ადგილებში, თავისებურს სახელმწიფოებრივს ამოცანებს უყენებს წინ კერძო პირთა სპეკულიაციისა და კერძო აპარატის გამოსაყენებლად და მათ შესაცვლელად სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებით.

სასურსათო კომისარიატი ამ შეუპოვარს და სისტემატიურ მუშაობის პროცესში უნდა გარდაიქცეს სასოფლო სამეურნეო პროდუქტების საუკეთესო რეალიზატორად და გლეხთათვის ქალაქის ნაწარმოებთა საუკეთესო და უშუალო მიმწოდებლად.

2. სასურსათო კომისარიატი უნდა მიისწრაფოდეს, რათა ეს ძირითადი ამოცანა შეასრულოს ისე, რომ დაიცვას და შეუთანხმოს თავისი მოქმედება ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პრინციპებს.

ამ ჟამად საჭიროა, რომ ყოველგვარ საკომერციო და სასურსათო საქმის განხორციელების დროს უპირატესობა მიეცეს საზოგადოებრივს ორგანიზაციებს და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში იყოს გამოყენებული კერძო საკომერციო აპარატი.

3. სურსათისა და ფართო საჭიროების საგნების დამზადების საქმეში, საჭიროა შემუშავება სახელმწიფოებრივ მომარაგების გეგმისა, ისე, რომ მას საფუძვლად დაედოს უწინარეს ყოვლისა საქონლის გაცვლის ოპერაციები, როგორც საბჭოთა საქართველოს ფარგლებში, ისე საბჭოთა სხვა რესპუბლიკებში. შემდეგ უმტკივნეულოდ განხორციელებულ უნდა იქნას სასურსათო გადასახადი და შეძენილ იქნას სურსათი საზღვარგარედ, ევროპასა და ამერიკაში.

4. შინაგანი გაცვლა საქონლისა უნდა სწარმოებდეს სახელმწიფოებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივ და საკოოპერაციო ორგანოების დახმარებით. ამ ორგანიზაციათა გამაგრებლად და კერძო პირებთან კონკურენციის წარმატებით საწარმოებლად საჭიროა: თავიდან აცილებულ იქმნეს ორგანიზაციების ცალცალკე გამოსვლანი და სასურსათო კომისარიატის ხელში იქმნეს გადაცემული სახელმწიფოებრივ გაცვლის მთელი ოპერაციები, აგრეთვე რესურსები. კომისარიატს შეუძლიან ესა თუ ის რაიონი გადასცეს ამა თუ იმ ორგანიზაციას. საჭიროების დროს კომისარიატს შეუძლიან და მოვალეც არის, ამა თუ იმ რაიონში ვაჭრობს გზა შეუკრას.

5. სასურსათო გადასახადის შემოღება წარმოადგენს ლოღიკურად აუცილებელ ნაბიჯს, რომელიც ნაკარნახევია როგორც ქალაქის, ისე სოფლის რეალური პირობებით და ინტერესებით.

სასურსათო გადასახადი, გაადიდებს რა ძირითად ფონდს, შეძლებას მისცემს სახელმწიფოს, შეამციროს ემისია და გააძლიეროს თავისი გავლენა ფასებზე საქონლის გაცვლის საქმეში. სასურსათო გადასახადი, რომელიც ტვირთად არ აწვება გლეხობას, მცირედ ეხება გლეხობის მხოლოდ შეძლებულ წრეებს და რომელიც ხელს უწყობს ამასთანავე სახელმწიფოს გავლენის ზრდას პურეულის ბრუნვაში, საზღვარს უდებს პურზე სპეკულიაციას სოფელში, სადაც ზედმეტი პროდუქტები და დეფიციტი თანაწორად არ არის განაწილებული.

ამიტომ სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა მოუწოდებს საბჭოთა ორგანიზაციებს, მიიღონ უმხურვალესი მონაწილეობა სასურსათო გადასახადის კამპანიის განხორციელებაში და მით შეძლება მისცეს სასურსათო კომისარიატს, თავიდან აიცილოს ის შეცდომანი, რომელიც მოსალოდნელია ადგილობრივათ.

6. მაგრამ სასურსათო გადასახადი, აგრეთვე დამზადებანი, საქონლის გაცვლისა და ნაღდი ფულით შეძენის გზით, წლევანდელს მოუსავლიანობის გამო შეძლებას არ გვაძლევს ვიფიქროთ, რომ წელს ჩვენი მდგომარეობა უკრიზისოდ დამთავრდება. ამიტომ საბჭოთა ყრილობა აუცილებელ საჭიროებათ სთვლის, უზრუნველყოფილ იქმნას სასურსათო კომისარიატი საკმაო რესურსებით დამზადებათა გასაძლიერებლად: საქართველოში—ფულით და საქონლის გაცვლის წესით, ხოლო საზღვარგარედ—სავალიუტო ნედლი მასალისა და ვალიუტის გზით.

7. ხარჯები ზედმიწევნით უნდა იქმნეს შეფარდებული ნავარაუდევ რესურსებთან. საჭიროა მთელი მომარაგება დაექვემდებაროს მიზანშეწონილ პრინციპს. სახელმწიფოებრივ მომარაგებაზე უნდა დარჩნენ მხოლოდ უკიდურესად საჭირო კადრი მუშა მოსამსახურეებისა. საჭიროა განხორციელებულ იქმნას შტატების შემოკლება და სახელმწიფოებრივი მომარაგება მოესპოს იმ წარმოებათ რომელნიც სამეურნეო მდგომარეობაზე გადავიდნენ.

8. საქართველოს საბჭოთა ყრილობის წინაშე სდგანან ამოცანანი სასურსათო პოლიტიკის დღევანდელ კურსის განმტკიცებისა და იმის ობიექტიურად დასაბუთებისა, რომ საჭიროა ეს პოლიტიკა სასტიკად დაემორჩილოს ეკონომიურ მიზანშეწონილობას.

საბჭოთა ყრილობა საჭიროდ სთვლის, საბჭოებმა ადგილობრივად ხელი შეუწყონ სასურსათო პოლიტიკის განხორციელებას. თავისი ავტორიტეტით მათ სასურსათო ორგანოები უნდა დაიცვან ყოველგვარ გარეშე ძალდატანებისაგან, რომელიც არყევს გეგმის მტკიცე და სასტიკ განხორციელებას და უნდა ახსოვდეთ, რომ სასურსათო გეგმა ერთ-ერთს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს მეურნეობის აღდგენისა და პროლეტარულ დიქტატურის ეკონომიურ საძირკვლის განმტკიცების საქმეში.

## სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წევრებათ არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები:

**ცენტრიდან.**

1. სტალინი, 2. ენუქიძე, 3. ცხაკაია, 4. მახარაძე ფ., 5. ორჯონიკიძე ს., 6. ორახელაშვილი მ., 7. თოდრია ს., 8. დუმბაძე, ლ. 9. კალანდაძე, ფ. 10. საბაშვილი, 11. ჯორბენაძე, 12. მდივანი, ბ. 13 ოკუჯავა მ. 14 ოქუაშვილი არ. 15. ცინცაძე კალ. 16. ტოროშელიძე მ. 17. კიკნაძე ნ. 18. ქავთარაძე, ს. 19. ყურულაშვილი, გ. 20. ერქომაიშვილი, ა. 21. კვირკელია, ბ. 22. სვანიძე, ალ. 23. გეიდენი, ივ. 24. ჩოდრიშვილი, მ. 25. ბოლქვაძე, ივ. 26. კაკაბაძე, კირ. 27. ნასარიძე, დ. 28 ცინცაძე, პ. 29. სუხიშვილი, ლ. 30. ნაზარეტიანი, ა. 31. კახიანი, მ. 32 ხომერიკი, კ. 33. ასირბეკოვი, 34. თუმანოვი ს. 35. გეგეჭკორი, ა. 36. გასვიანი.

მაზრებიდან: გორი.

37. მოწონელიძე, 38. გიორგაძე.

დუშეთი.

39. ლაპანაშვილი.

ბორჩალო.

10. შაზანოვი.

თელავი.

41. კურციკაშვილი.

აჭარა.

42. წულუკიძე.

შორაპანი.

43. ჭეიშვილი, 44. კილაძე

ლეჩხუმი.

45. გორგასლიძე.

ოზურგეთი.

46. კალანდაძე, 47 მგლობლიშვილი გრ.

ფოთი.

48. გოგია.

სენაკი.

49. ბედია მ.

ქუთაისი

51. სტურუა ვ, 52. ლორთქიფანიძე დ.

ახალქალაქი

53. გასელიავა ევ.

ახალციხე

54. მღრაძე.

ზუგდიდი

55. როგავა გრ. 56. რაფავა ავს.

თბილისი

57. მიროტაძე ლ., 58. ტიგიშვილი.

სიღნაღი

59 ვარამაშვილი, 60 ჩახუნაშვილი.

თიანეთი

61. სურგულაძე,

სამხ. ოსეთ.

62. ქატიევი ალექს., 68. სანაქოევი ვლად. 64. გაგლოევი სერგო, 65. ჩოჩიევი ალექ. 66. ჯატიევი კონ.

აჭარისტანი.

67. ხიმშიაშვილი. 68. დიასამიძე, 69 გოგო აბდულ, 70. გამბაროვი ალ., 71, გოჩელაშვილი ლ., 72. ჩიჯავაძე ხასანი.

აბხაზეთი.

73. ეშბა, 74. ლაკობა, 75. აკირტავა, 76. კუხარსიშვილი, 77. კარტოზია სამ., 78. ქორქიკაშვილი, 79. კუჩაიძე.

წით. ჯარ.

80. ელიავა შალვა. 81. ეგოროვი. 82. აგინაიშვილი, 83. ოკუჯავა ნ. 84. ლისოვსკი, მ. 85. პუგაჩევი, სემ. 86. ბიაზი ნიკ. 87. სუტირინი ვლად. 88. ლალიანი ანაიდა. 89. აჯენირი ალექ.

მემარც. ფედ.

90. ღლონტი ფ. 91. ჩახუნაშვილი, 92. ხუნდაძე, სიმ.

უპარტიო.

93. სამხარაძე, 94. პოპოვი ანასტასი.

# გენუას კონფერენცია

**ბორდო, 1 მარტი (რადიო).** იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი შანცერი ჩამოვიდა დღეს პარიზში და დაუყონებლივ ინახულა პუანკარე. ჯერ სავსებით არ არის გამორკვეული იტალიის გადაწყვეტილება გენუას კონფერენციის გადადების შესახებ; მაგრამ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ იტალია დათანხმდება კონფერენციის გადადებას 15 აპრილამდე.

**რომში, 1 მარტი (რადიო),** იტალიის მთავრობას ოფიციალურად აუწყეს ბულონში მიღებულ გადაწყვეტილებაზე გენუას კონფერენციის 15 მარტამდე გადადების შესახებ.

**იტალიის დელეგაცია.**

**რომი, 1 მარტი (რადიო).** გაზეთების ცნობა, შესახებ ტიტონის დანიშვნისა იტალიის დელეგაციის უფროსად გენუას კონფერენციაზე, იწვევს უნდობლობას. ცნობა ეს მით უმეტეს საეჭვოა, რომ ტიტონი არ შედის მთავრობის შემადგენლობაში.

**გერმანიის დელეგაცია.**

**რომი, 1 მარტი (რადიო).** მიღებული ცნობების თანახმად გენუას კონფერენციაზე გერმანიის დელეგაციის შემადგენლობაში შევა ორი თვალსაჩინო წარმომადგენელი მუშათა ორგანიზაციებიდან.

**მუშების პროგრამა.**

**ნაუენი, 1 მარტი (რადიო).** შრომის საერთაშორისო საბჭომ გადასწყვიტა მოიწვიონ რომში 5 აპრილისთვის მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების თათბირი, რომ იმსჯელონ ევროპის აღდგენის მუშათა პროგრამის გამოსამუშავებლად ამ პროგრამას წარუდგენენ გენუას კონფერენციას.

**რუსეთი არ ურიგდება დამორჩილებას.**

**რომში, 1 მარტი (რადიო)** ჩიჩერინიდან ჯერ არაა მიღებული დადებითი პასუხი გენუას კონფერენციაზე რუსეთის მონაწილეობის შესახებ. ეს იმით აიხსნება, რომ საფრანგეთს და ინგლისს უნდათ რუსეთი დამორჩილებულ მდგომარეობაში ჩააყენონ, რასაც რუსეთის მთავრობა ვერ შეურიგდება.

**მილიერანის თავმჯდომარეობით.**

**პარიზი, 1 მარტი (რადიო).** პარიზში მოწვეულია მინისტრთა საბჭოს სასწრაფო თათბირი, რესპუბლიკის პრეზიდენტის მილიერანის თავმჯდომარეობით. პუანკარე მოხსენებას გააკეთებს ბულონში ლოიდ ჯორჯთან გენუას კონფერენციაზე მოლაპარაკების შესახებ, და რუსეთის პრობლემაზე.

**პარიზი, 1 მარტი (რადიო).** ლოიდ ჯორჯმა ბულონში პუანკარესთან მოლაპარაკების დროს გამოსთქვა თავისი კატეგორიული სურვილი პუანკარესთან პირად მონაწილეობაზე გენუას კონფერენციის მუშაობაში.

**მზადება გენუასათვის**

**ბორდო, 27 თებ. (რადიო).** ევროპის ეკონომიურად აღსადგენად ზომების გამომმუშავებელი საკავშირო კომისია მუშაობს ლონდონში. შესდგა ორი სხდომა, რომელსაც დაესწრენ წარმომადგენლები ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, იტალიის, ამერიკის და იაპონიისა. უმთავრესად ირჩეოდა საკითხი საერთაშორისო კონსორციუმის ძირითადი კაპიტალის ჯამის აღდგენის შესახებ. თათბირი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დასაწყისში განსაზღვრული ჯამი 26 მილ. გირვ. სტერლინგი აღმოჩნდა რომ არაა საკმარისი.

**შემრიგებელი.**

**ბერლინი, 1 მარტი (რადიო).** ფრანგული პრესსა აღნიშნავს, რომ ბრეჰემმა, ლონდონში ყოფნის დროს, შეასრულა მომრიგებლის როლი საფრანგეთს და ინგლისს შორის, მთელ რიგ კითხვებში, რომელიც ეხებოდა გენუას კონფერენციას.

**კონფერენციის პოლიტიკური არსი.**

**პარიზი, 1 მარტი (რადიო).** „ჟურნალ დედება“ კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ამ ბოლო ხანებში პოლიტიკური ჰორიზონტი შესამჩნევლად გამოირკვა. აუცილებლად უნდა გამორკვეულ იქმნეს სასწრაფოდ გენუას კონფერენციის არსი—ამბობს გაზეთი. გაზეთის აზრით, საფრანგეთის მთავრობამ უნდა გააგზავნოს თავისი წარმომადგენელი გენუას კონფერენციაზე მხოლოდ მაშინ, როცა ის სრულიად დარწმუნდება კონფერენციის პოლიტიკურ შედეგებში, რომელზედაც მოწვეულია 40 სახელმწიფო, და მათ რიცხვში საფრანგეთის გულითადი მტრებიც.

**გერმანია და რუსეთი გენუაში.**

**ლონდონი, 16 თებ.** „მანჩესტერ ჰარდინგ“-ი ბეჭდავს თავისი ბერლინერ კორესპონდენტის გერმანიის წრეების აზრზე დამყარებულ ცნობებს გერმანიის და რუსეთის მდგომარეობის შესახებ მომავალ სრულიად ევროპის კონფერენციაზე. ტაქტიკურად რუსეთი, ამბობენ ბერლინში, დაიჭერს გენუაში გაცილებით უფრო ძლიერ პოზიციას ვიდრე გერმანია. როგორც დაუმარცხებელ სახელმწიფოს, რომელსაც საზღვრავს ისეთი მნიშვნელოვანი მხარეები, როგორიცაა მცირე აზია, მესოპოტამია, სპარსეთი, ავღანისტანი, ინდოეთი, ჩინეთი და მონგოლეთი, რუსეთს შეუძლიან თავისი საკუთარი საგარეო პოლიტიკის წარმოება, და ყველა მისი მატერიალური სიმდიდრე, რომელიც რუსეთს შეუძლია მომავალში წარადგინოს ვერსალის ხელშეკრულების თანახმად, გერმანიას გამოცლილი აქვს ხელიდან და ის წინდაწინ დანიშნულია მოკავშირეებისთვის.

რუსეთს ექნება ვაჭრობის შესაძლებლობა, გერმანიას კი ამის საშუალება არ ექნება. მართალია რუსეთს არა აქვს უნარი აღადგინოს თავისი ეკონომიური კეთილდღეობა დასავლეთ სახელმწიფოების დაუხმარებლად, მაგრამ ის არ იმყოფება დამოკიდებულებაში ამა თუ იმ სახელმწიფოსთან და ამიტომ მას გენუაში შეძლება ექნება უფრო მტკიცედ დაიცვას თავის ინტერესები. სწორედ აქედან იწყება გერმანიის შიში. თუ რუსეთი მისცემს საფრანგეთს ზოგიერთ უპირატესობას, და შეეკვრება მას ეკონომიურ და სამხედრო პოლიტიკურ კავშირში, თუმცა მაშინ თვით საფრანგეთს, როგორც ამბობენ ბერლინში, არ ექნება შეძლება მისცეს რუსეთს მატერიალური სიმდიდრე, მაგრამ მას შეუძლია აიძულოს გერმანია, რომ მან მოამარაგოს რუსეთი მანქანებით, ფაბრიკის ნაწარმოებით, და ტეხნიკური ძალებით იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი სცნობს ვერსალის ხელშეკრულებას, და ამით მოიპოვებს უფლებას მოითხოვოს ანაზღაურება თავის ხვედრისა. და თუ რუსეთი დაადგება ეკონომიურ ალორძინების გზას, მაშინ ის შესძლებს ვალების გადახდას. საფრანგეთი კი თავის მხრით ყოველ შემთხვევაში გარანტიას მისცემს რუსეთს თავისი დასავლეთის საზღვრების დაცვისა პოლონეთის და რუმინეთის მხრივ და შეიძლება ბალტიის სახელმწიფოების და ფინლიანდიის მხრითაც. ასეთ პირობებში რუსეთის არმიას შეეძლო, თუ ამას საჭიროება მოითხოვდა, ყურადღება მიაქციოს სხვა საზღვრებს. აღნიშნული გადახვევა საფრანგეთის პოლიტიკაში, ეჩვენება ნემცებს იმდენად სარწმუნოდ, რომ მათი აზრით ანტანტა იშლება. თუ ჩვენ წარმოვიდგენთ, რომ, საფრანგეთი გამოვა რა ანტანტის შემადგენლობიდან, დაიწყებს თავისი საკუთარი პოლიტიკის წარმოებას გერმანიის მიმართ, მაშინ რა შეაკავებს მას აშკარა თანაგრძნობაში ბავარიის და რეინის განაპირა ოლქის სეპერატიული ტენდენციებისადმი. ექნება თუ არა საფრანგეთს ძალა, რომ ამას ხელი შეუშალოს? ზოგიერთი ნემცები ისე შორს მიდიან, რომ მათ უკვე ელანდებათ სამთა კავშირი რუსეთ-საფრანგეთ იაპონიისა, რომელიც უნდა დარჩეს ბრიტანეთის იმპერიისთვის მრისხანება, და ინგლის ამერიკის გეგემონიის მოწინააღმდეგე მიმდინარე მომენტის საჭირ-ბოროტო ინტერესად რჩება მაინც გენუას კონფერენცია. საშინლად ბნელი წინაგრძნობით, რომელიც შთაგონებულია მათში გენუაში პუანკარეს და საფრანგეთის ნაციონალიზმის გამარჯვებით, ელოდებიან ნემცები გენუას კონფერენციის გახსნას. რუსეთს, თუმცა დანგრეულს, მაგრამ მაინც გამარჯვებულს, ხელთ ექნება ამ კონფერენციაზე კოზირი ხელში. გერმანია კი, თუმცა დანგრეული არაა, მაგრამ ცარიელი ხელით მივა იქ, როგორც დამარცხებული ქვეყანა.

# კაპიტალიზმის სამეფოში

**გენუას კონფერენციის გარშემო.**

**მოსკოვი. 2 მარტი, (რადიო).** ფრანგული გაზეთი „იუმანიტე“ სწერს: „შიში საბჭოთა რუსეთთან შეხვედრისა დაუფარავად განხილვის დროს (გამოტოვებულია)... საფრანგეთის ბევრ პოლიტიკოსებს. მათ შორის ერთი უპირველესის ადგილი უდაოდ უჭირავს ვალბოლოტს, რომელიც იყო ელჩად მეფის სასახლეში და რომელიც ყოველი ღონით სცდილობს შექმნას ახალი ბრძოლა მოსკოვსა და გენუას შორის, მისი მომხრეები იკრებენ თავია თ გარშემო კავკასიის რესპუბლიკების უკანონო წარმომადგენლებს, რომლებიც აწარმოებენ აგიტაციას, რომ ისინიც მიწვეულ იქნან გენუაში. საქართველოს მენშევიკები, რომლებიც განდევნეს საქართველოს აჯანყებულებმა, სთვლიან თავის თავს ამ ქვეყნის კანონიერ წარმომადგენლად, რომელსაც ისინი უკვე ღლარ განაგებენ.

**ბალტიის სახელმწიფოთა თათბირი.**

**მოსკოვი, 2 მარტი, (რადიო)** ბალტიის სახელმწიფოთა მოსამზადებელი თათბირი გენუას კონფერენციისათვის განზრახულია მოიწვიონ ვარშავაში. ლიტვისა და პოლონეთის დამოკიდებულება, ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის მერონიცის სიტყვით, ართულებს ამ თათბირში ბალტიის ყველა სახელმწიფოების მონაწილეობის მიღების საკითხს.

**მინისტრების კონფერენცია.**

**მოსკოვი. 2 მარტი, (რადიო).** დაახლოვებით 8 მარტს პარიზში შესდგება საფრანგეთის, ინგლისის, ბელგიის და იტალიის ფინანსთა მინისტრების კონფერენცია. კონფერენციაზე განიხილავენ იმ გადასახადის განაწილების საკითხს, რომელიც უკვე გადაიხადა ან უნდა გადაიხადოს გერმანიამ. მინისტრები განიხილავენ აგრეთვე ოკუპაციით დაჭერილ ოლქებში მყოფ მოკავშირეთა ჯარების შესახებ ხარჯების ანაზღაურების საკითხს.

**ფინეთი და რუსეთი**

**მოსკოვი. 2 მარტი, (რადიო).** ფინეთის სეიმის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გამოქვეყნა მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია: „რუსეთისა და ფინეთის შორის დადებულ ზავს, რომელიც დაიდო ფინეთის მთავრობის ზეგავლენით, საფრთხე მოელის. სავაჭრო დამოკიდებულება რუსეთთან, რომელსაც შეეძლო მხოლოდ შეემცირებია სახელმწიფოში უმუშევრობა, შეწყვეტილია. მიუხედავად ამისა მტაცებლები განაგრძობენ თავიანთ კამპანიას ყველა თავიანთ კომიტეტებში. მაგრამ ფინეთის მუშებს სურთ ზავი საბჭოთა რუსეთთან და წინააღმდეგობას უწევენ მტაცებლელთა მისწრაფებებს. ისინი მოითხოვენ ფინეთის მთავრობისაგან რომ ჩანასახშივე მოსპოს მან ყოველივე ცდა ნეიტრალიტეტის ის წინააღმდეგ ჩათრევისათვის. მუშები მოითხოვენ აგრეთვე, რომ მთავრობამ იხმაროს ყველა მაზე დამოკიდებული ზომები რუსეთთან გაუგებრობის მოსასპობად, რათა მისცენ პასუხისგებაში ყველა მემარჯვენეები, რომლებიც ხელმძღვანელობდენ შინაგან საქმეთა მინისტრის რიტაუონის მკვლელობას.

შემდეგ მუშები პროტესტს აცხადებენ კრების თავისუფლების დარღვევისა და სოციალისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრთა დატყვევების წინააღმდეგ მოწოდება თავდება მუშებისადმი მაშართვით რომ განიხილონ შემდეგი საკითხები: ზავის უზრუნველყოფა, კეთილ მეზობლური დამოკიდებულების აღდგენა საბჭოთა რუსეთსა და ფინეთის შორის, გათვალისწინებულ სამოქალაქო უფლებათა უზრუნველყოფა ძირითად კანონების მიერ და დემოკრატიულ წესწყობილების დაცვა მემარჯვენეთა ყოველგვარ განზრახვებისაგან.

**კენიხსბერგის გამოფენაზე.**

**მოსკოვი. 2 მარტი, (რადიო).** (დასაწყისი არ მოსულა) მეგობრული

სიკვდილის თვეში

სულის კივილი პირშავ სამარეს
გადამწვარ წუთებს აღარ დაუთმობს.
ყოფნა—სიცოცხლის დაბინდულ არეს,
სასტიკ განაჩენს ჩემზე დაუგმობს.

ზარის გუგუნში იკივლებს სული,
უდაბურ ტყეში იშვა ეული.
მან გამოსცადა ღამის თეთრება,
იყო ბედშავი, იყო წყეული.

მხოლოდ ალერსი, ტრფობა ღამობით
უგემებია შხამიან სიზმრით.
მიტომ არ სტირის დღეს მას არავინ,
დაკაწრულ ლოყით, მგლოვიარე ხმით.

სიკვდილის თვეში მაინც მახარებს,
გადათელილი გზა ეკლიანი.
სიცოცხლის ბოლოს ვერ შემაშინებს,
სიკვდილის ხიდი შავ ბეწვიანი...

**სანდრო ეული.**

დამოკიდებულება რუსეთისა და გერმანიის შორის, ვინაიდან ვაჭრებმა შეიძლება არ მოუცადონ სანამ დიპლომატები გამოძებნიდენ შესაფერ ფორმულას. შემდეგ აგი მოუწოდებს და განაპირა სახელმწიფოებს შეასრულონ მათ ხიდის როლი საბჭოთა რუსეთთან დაახლოვებისათვის. ადგილობრივ ხელისუფლების დანარჩენი წარმომადგენლები და გერმანიის ვაჭრებისა იმავე აზრს იცავდენ. საგარეო ვაჭრობის წარმომადგენელმა უპასუხა მისასალმებელ სიტყვით, რომელშიდაც განაცხადა, რომ ჯერ კიდევ ბევრმა ვერ გაუგო გერმანიას საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დაახლოების საჭიროება, და საკმაო ძალისით არ ეკებებიან ამ დაახლოებას. ამას გარდა ისინი უძნელებენ საბჭოთა მთავრობას ამ ამოცანის გადაჭრას. კონისბერგის პრესა თითქმის მთლიანად მხარს უჭერს სავაჭრო კომიტეტს და მის ორიენტაციას საბჭოთა რუსეთისადმი და აღნიშნავს კონისბერგის ნავთ სადგურის მნიშვნელობას მომავალ სავაჭრო ოპერაციებისათვის.

**რევოლიუციონური მოძრაობა აფრიკაში.**

**ბერლინი. 28 თებერვალი.** სამხრეთ აფრიკის ნაციონალისტები მოლაპარაკებას აწარმოებენ მუშების ბელადებთან მთავრობის და მსხვილ მწარმოებლების წინააღმდეგ სამოქმედო საერთო პროგრამის გამოსამუშავებლად.

**ინგლისური კაპიტალის შემოტევა.**

**ლონდონი. 16 თებერვალი.** „ლაბურ გაზეთ“ს მოყავს ოფიციალური ცნობები, რომელიც ახასიათებს ინგლისის კაპიტალის შეტევითი პოლიტიკას. 1921 წელს შრომას და კაპიტალს შორის მომხდარ კონფლიკტების ანალიზიდან სჩანს, რომ, მათი რიცხვი თითქმის ორჯერ ნაკლებია წინანდელ წლებში მომხდარ კონფლიკტების რიცხვზე: იმ დროს, როცა 1918 წელშია აღნიშნული იყო 1300 კონფლიქტი, 1920 წ.—1715, 1921 წელში—მხოლოდ—800. გაფიცვების ხანგრძლივობა მაჩვენებელია ბრძოლის ულმობლობის და სიმკაცრის. იმ დროს, როცა 1918 წელში გაფიცვებში მონაწილეობდა 1.142,000 კაცი, 1919 წ.—2.575,000 კაცი, 34,903,000 სამუშაო დღის დაკარგვით, 1921 წელს, კონფლიქტებში მონაწილეთა რიცხვი შემცირდა 1.794,000 ძდე, და სამუშაო დღის დაკარგულ რიცხვმა დააღწია განსაცვიფრებელ რიცხვს 86 მილიონამდე.

საინტერესო მოვლენაა: გამარჯვება უკანასკნელ წლის ყველა კონფლიქტებში თითქმის სრულიად კაპიტალს ერგო. სამუშაო ხელფასი 7.100,000 მუშების 1921 წ. შემცირდა 6,006,000 გირ. სტერლინგი ყოველკვირეულად.

**გერმანიის გადასახადი.**

**ნაუენი. 1 მარტი, (რადიო)** გერმანიის მთავრობამ აცნობა საკონტრიბუციო კომისიას, რომ მან შეიტანა 27 თებერვალს 31 მილ. მარკა. ეს გადახდა არის მორიგი და მეხუთე სათვალავით. „ტან“ მა გამოიანგარიშა, რომ გერმანიამ სულ გად იხადა და მისცა ანტანტას დაახლოებით 7 მილიარდი მარკა ოქროთი.

**მთავარი საკითხი.**

**პარიზი. 16 თებერვალი,** „ტანი“ მოითხოვს სწორ და საერთო ორიენტაციის აღნიშვნის საჭიროებას. ოფიციოზი ამტკიცებს, რომ გენუას კონფერენციის მთავარი საკითხს წარმოადგენს რუსეთის საკითხი. შემდეგ გაზეთი წერს: „უკეთებთ რა ანალიზს საბჭოთა რუსეთის დღევანდელ მდგომარეობას, სახეში უნდა გვქონდეს: 1) მილიონ დამშეულთა ინტერესები 2) იმ კრედიტორებთა ინტერესები, რომლებმაც მისცეს რუსეთს შესაძლებლობა შეეძინა ომამდი ტეხნიკური მასალა და იარაღები, 3) ვაჭართა და მწარმოებელთა ინტერესები, რომლებსაც შეუძლიათ ერთის მხრით მიაწოდონ რუსეთს ყველა საჭირო საგნები და მეორე მხრივ შეიძინონ რუსეთიდან ნედლი მასალა და სურსათი.

**გაფრთ ილება.**

**მოსკოვი. 24 თებერვალი.** „იზვესტია“ მეთაურში წერს: „ინტერვენციამ დაასწრო ფიზიკურ და მორალურ დამარცხებას. მაგრამ ინტერვენციის ზოლი შეიძლება ჩაითვალოს დამთავრებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში. თუ იქნება თავიდან აცილებული ის ფაქტორები, რომლებმაც იგი გამოიწვიეს ცხოვრებაში. მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ არიან აცილებული, საბჭოთა რუსეთის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან საერთო შეთანხმება ჯერ კიდევ არ მომხდარა, და ზოგიერთ მათგანის ყოყმანობა ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ იგი ასე ადვილად არ განხორციელდება. ის გარემოება, რომ საფრანგეთის დიპლომატია ყოველ მხრივ სცდილობს ჩაშალოს ან დაამახინჯოს გენუას კონფერენცია, რომ იგი აყენებს საბჭოთა რუსეთისათვის სრულიად მიუღებელ პირობებს, როგორიც არის საფრანგეთის მოთხოვნილებანი წინასწარ განუხილველად მიღება, კაპიტულიაციის თავხედური პროექტი, როგორიც არის ახალი ცდები ჩვენ შინაურ საქმეებში ჩარევისა ახალ რეჟიმის შესახებ მოლაპარაკების ნიღაბ ქვეშ, რომელიც საჭიროა კაპიტალიზმის ექსპლოატაციის თავისუფლად თარეშისათვის—ყველა ეს მოწმობს იმას, რომ საბჭოთა რუსეთი უნდა მოელოდეს საფრანგეთის მართველ წრეების ნაწილიდან კიდევ სრულიად მოულოდნელ სიურპრიზებს. საბჭოთა რუსეთის გარეთ იბრძვის ამ ჟამად ურთიერთ შორის, საერთაშორისო მასშტაბით ორი ტენდენცია. კანის კონფერენციის დაწყებიდან ვითომ იმარჯვებს შეთანხმების ტენდენცია, მაგრამ შეურიგებლობის ტენდენციას ჯერ კიდევ არ დაუთმია თავის პოზიცია. ძნელია. წინასწარ ვთქვით, თუ რომელი ამ ამ ტენდენციათაგანი გაიმარჯვებს საბოლოვოდ მახლობელ დროში. შესაძლებელია მაინც, რომ საბჭოთა რუსეთმა მიაღწიოს შეთანხმებას მთელ რიგ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან, მათ რიცხვში ზოგიერთ მსხვილებთანაც, მაგრამ ამ შემთხვევაშიც არ ისპობა შესაძლებლობა დანარჩენ სახელმწიფოთაგან შემოტევის განმეორებისა. უკანასკნელ თვეების ამბებმა დაგვანახა, რომ რუსეთს არ შეუძლია ჩათვალოს თავის თავი უზრუნველყოფილად საზღვრების მხრივ. ახალ ავანტიურის საშიშროება არ არის მოსპობილი. საჭიროა აღვნიშნოთ ეს საშიშროება არა მარტო მასზე საბჭოთა რუსეთის ყურადღების მისაქცევად, არამედ მისი მტრების გასაფრთხილებლადაც, რომ მათი განზრახვანი არ არის ჩვენთვის საიდუმლო და საბჭოთა რუსეთი თავის დროზე ყოველივე ზომებს იხმარს მის არსებობის წინააღმდეგ მიმართულ ყოველ გვარ ახალ განზრახვათა შესამუსრავად.

**პოლიტიკური კრიზისი ინგლისში.**

**ლონდონი. 16 თებერვალი.** ლონდონის გაზეთები დაჟინებით ლაპარაკობენ ლოიდ-ჯორჯის გადადგომის განზრახვის შესახებ. თვით ლოიდ-ჯორჯის აზრით მისი გადადგომა იქნება საუკეთესო გამოსავალი იმ გართულებულ მდგომარეობიდან, რომელსაც იგი შეხვდა თემთა პალატაში ახალ კოალიციის შექმნის საკითხის გამო.

**ნაუენი. 2 მარტი, (რადიო).** „დეილ-ტელეგრაფი“ იუწყება: ლოიდ-ჯორჯი არ არის კმაყოფილი თავის მდგომარეობით თემთა პალატაში, სადაც იგი ვერ სარგებლობს სათანადო ავტორიტეტით და ვერ ხედავს საჭირო მხარის დაჭერას. უკეთებს რა კომენტარიებს ამ ფაქტს, გაზეთი დასძენს: ზედმეტია ამ ფაქტის მნიშვნელობის ხაზგასმით აღნიშვნა. უკანასკნელ დღეებდღეებში მომხდარმა ამბებმა დაგვანახვეს, რომ პოლიტიკური კრიზისი ინგლისში სწრაფად ვითარდება და უმწვერვალესობამდე მიაღწია. ეს კრიზისი ძლიერ სერიოზულია, რადგანაც მოწმობს დიდ ბრიტანეთის უძლურებაზე. ბოლოს გაზეთი აღნიშნავს, რომ ფაქტიურად „დიდ ბრიტანეთს განაგებს მუშათა პარტია“.

**გერმანიის გადასახადი.**

**ნაუენი. 2 მარტი. რადიო.** დღიდან ზავის შეკვრისა, გერმანიამ გადაუხადა ანტანტას 9,500 მილიონი მარკა. ოქროთი. საოკუპაციო ჯარების შესანახად დახარჯულია 6,500 მილიონი მარკა.

**შანცერი.**

**მოსკოვი, 3 მარტი. რადიო.** შანცე-

ვერიდან მიღებულ ცნობებით, შანცერის დანიშვნას იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრად დე-ფაქტოს ახალ კაბინეტში თანაგრძნობით მიეგება იტალიის პრესა. გაზეთები აღნიშნავენ შანცერის დამსახურებას და ამაგს ვაშინგტონსა და ჟენევაში. ფრანგული გაზეთები, ნამეტნავად „მატენი“ პირიქით მკაცრად კიცხავენ შანცერის ქცევას ვაშინგტონის კონფერენციაზე, სადაც მან, „მატენის“ სიტყვით, იტალიის სასარგებლოთ გამოიყენა ყველა შეცდომები, ჩადენილი ფრონტზე.

**ეგვიპტის დამოუკიდებლობის გამოცხადება.**

**რომი, 2 მარტი** რადიო. პირველ მარტს ლოიდ ჯორჯმა შეიტანა თემთა პალატაში ოფიციალური აქტი, ეგვიპტეზე ინგლისის პროტექტორატის მოხსნის და მის სუვერენულ, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების შესახებ. ლორდ ალენბიმ ქაირში ოფიციალურად უნდა გამოაცხადოს ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილება.

**ბორდო. 2 მარტი.** რადიო. ლორდ ალენბიმ განაცხადა, დიდ ბრიტანეთის პროტექტორატი ეგვიპტეზე თავდება. ეგვიპტე აღიარებული იქნება დამოუკიდებელ სახელმწიფოთ.

**პარიზი, 1 მარტი.** რადიო. ეგვიპტის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ეგვიპტე თვითონ დაამყარებს თავის სასურველ მართვა-გამგეობის ფორმას. ინგლისი იტოვებს შეთანხმების უფლებას ეგვიპტის რკინის გზის დასაცავად და აგრეთვე უცხოელთა და ეროვნებათა უმცირესობის დაცვისას, და სუდანის ეკონომიურად განვითარებისას.

**რუსეთის მოთხოვნილებანი.**

**ბორდო, 2 მარტი.** რადიო. ბრიტანიის მთავრობამ აცნობა თემთა პალატას, რომ რუსეთი მოითხოვს ინგლისისაგან 1919 წ. პროცენტების გადასახადს, რომელიც უდრის 561 მილიონ გირვ. სტერლინგს.

**ვაჭრობა საბჭოთა რესპუბლიკაში.**

**ბორდო. 2 მარტი.** რადიო. სავაჭრო პალატა, რომელიც დიდი ხანი არაა, რაც გაიხსნა პეტერბურგში, ანვითარებს თავის მუშაობას. დამტკიცებულია დებულება ვაჭრობის შესახებ, რომელიც აღდგენილია სრულიად ნორმალურ საფუძვლებზე. აძლიერებს თავის მუშაობას აგრეთვე საგარეო ვაჭრობის კომისარიატი, რომელმაც გახსნა ფილიალური განყოფილებები ლეიპციგში და ნიუ-იორკში, სადაც არის მუდმივი მოთხოვნილება რუსეთის ნედლი მასალისა.

**გერმანია ახალ გაფიცვების წინაშე.**

**პარიზი, 2 მარტი.** რადიო „დოიტჩე ალგემაინე ცაიტუნგი“ იუწყება, რომ ბერლინში რადიკის თავმჯდომარეობით შესდგა კომუნისტების ფარული სხდომა. რადეკი მოითხოვს გერმანიაში საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებას, რომელიც უნდა დაიწყოს 9 მარტს და საჭიროების შემთხვევაში არ უნდა შეჩერდეთ იძულებითი ზომების ხმარების წინაშე.

**ფინანსთა მინისტრების ყრილობა.**

**ბორდო, 2 მარტი.** რადიო. 7 მარტს პარიზში შესდგება ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და ბელგიის, ფინანსთა მინისტრების თათბირი გენუის კონფერენციისათვის მოსამზადებლად და მთელ რიგ ფინანსიურ საკითხების გადასაწყვეტად კანში გამომუშავებულ საფუძვლების მიხედვით. ამავე თათბირზე განიხილავენ აგრეთვე საოკუპაციო ხარჯების გადიდევინების ზომების და ვისბადენის შეთანხმების საკითხებს.

# სპარსეთი

**თეირანი.** 6 თებერვალი, გაზეთი „ზაკ“-ი 4 თებერვალს იტყობინება, თავრიზში პირველ თებერვალს მომხდარ გადატრიალებაზე. ადგილობრივი მთავრობის ორგანოები გარეკილ იქნა და ქალაქი დაიკავა ჟანდარმების რაზმმა. პოლიტიკურად ძალაუფლება ხელთ ჩაიგდეს დემოკრატებმა. გაზეთი იტყობინება გადატრიალების შემდეგ ვრცელ ცნობებს:

თეირანის მთავრობის განკარგულების თანახმად, ჟანდარმერია უნდა დაშლილიყო და შეერთებულიყო კაზაკების ბრიგადას. თავრიზის ჟანდარმერიამ უარი განაცხადა ამ განკარგულების დამორჩილებაზე, წაიღო მთელი თავისი იარაღი და მიატოვა ქალაქი. ჟანდარმების დასაწყნარებლად თავრიზის გუბერნატორმა მუხბირ-ეს-სალტანემ გააგზავნა კაზაკების კოლონები ზარბაზნებით და ტყვიისმფრქვეველებით. მაგრამ კაზაკები დამარცხდენ და ჩაბარდენ ჟანდარმებს, რომლებიც რიცხვობრივად სჭარბობდენ კაზაკთა რაზმებს. ამის შემდეგ ჟანდარმები გადავიდენ შეტევაზე თავრიზზე. არჯიჩაის ხიდის ახლოს მოხდა უმნიშვნელო შეტაკება კაზაკებთან, რის შემდეგ დილით 1 თებერვალს ჟანდარმებმა დაიკავეს თავრიზი. ბრძოლა გრძელდებოდა თვით ქალაქშიც და ყველაზე ძლიერი წინააღდეგობა გაუწიეს ყაზახებმა, რომელნიც იმყოფებოდენ, საგენერალ გუბერნატოროს, პოლიციის სამართველოს, ციხეგაუზის და ყაზახთა ყაზარმების შენობებში. ჟანდარმებს ეხმარებოდენ ადგილობრივი დემოკრატები, რომელთაც ხელთ იგდეს ძალაუფლება. როცა ქალაქი უკვე დაიკავეს ჟანდარმებმა, დემოკრატების განკარგულებით, რომელთაც ძალაუფლება ხელში ეპყრათ, დაუყონებლივ იქნა გახსნილი ყველა პურის საცხობები, და ქალაქში გამოჩდა პური, რომელიც რამდენიმე დღე იქ არ იშოვებოდა, საწყობებში აღმოჩნდა 200,000 ფუთამდე შენახული პურის მარცვალი. სამხედრო მმართველობის წინადადებით გენერალ გუბერნატორის ადგილი დაიჭირა დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა. ეს დანიშვნა ეცნობა თეირანის მთავრობას, რომელმაც დაამტკიცა არჩეული. შემდეგ დემოკრატებმა გააუქმეს ცენზურა, გამოაცხადეს ბეჭდვის, სიტყვის და კრების თავისუფლება. მცხოვრებლები ჯერ მოიცვა პანიკამ, განსაკუთრებით ვაჭრები. მაგრამ 2 თებერვალს უკვე დამყარდა შედარებითი წესრიგი და მოქალაქენი შეუდგენ თავიანთ ჩვეულებრივ მუშაობას. 18 თებერვალს მიღული ცნობებით, თავრიზი კვლავ დაიკავეს ყაზახებმა. სახლების და ბაზრის უმეტესი ნაწილი დანგრეულია. დემოკრატები და ჟანდარმები ქალაქიდან გაიქცნენ. შემდეგ მომხდარ ამბების შესახებ გაზეთი არაფერს სწერს.

# რაჭა სიმშილის წინ სდგას

როცა პარტიულ ყრილობიდან რაჭის მაზრაში დავბრუნდი პირველ სოფელშივე — ნიკორწმინდაში — შემხვდენ გლეხების წარმომადგენლები და გამიცხადეს, რომ სოფელი უმწეო მდგომარეობაში არის ჩავარდნილი შიმშილობის გამო. შემოვიარეთ ყველა მოსახლეობა და ვერსად ვნახეთ ერთი თვის სარჩოც კი. მამაკაცები გარბიან სხვა მაზრებში სიმინდის შესაძენათ, მაგრამ ცარიელი ბრუნდებიან, რადგანაც სიმინდს არ ახლევენ და აკვირვენ ხან სასურსათო ორგანიზაციებს, ხან რკინის გზის ორგანიზაციას. ბრუნდებიან იმ სიმინდსაც, რომელიც გლეხებს შეუძენიათ თავისი შრომით, აუარებელი ოფლის დაღვრით სახლების აშენების, ხიდების აგების და სხვა მრავალ საზოგადოებრივ მუშაობის შესრულების დროს. ჩვენ თუ მოგვისპეს საშუალება, დასძენდენ გლეხები, რომ ჩვენი შრომის ნაყოფი მოვიტანოთ სახლში და დამშეული ცოლ-შვილი დავაკმაყოფილოთ, ეს იქნება დიდი უსამართლობა, რომელიც გაგვანადგურებს და მიწასთან გაასწორებს ჩვენს ისედაც ღარიბ მეურნეობას. ასეთ ჩივილს გეიგონებთ რაჭის მაზრის თითქმის ყველა კუთხეში და სოფელში, რაც სრულებით ბუნებრივია.

რაჭის იოლმის მოყვარე და უნარის მქონე გლეხობა განიცდის ამ წელში განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობას, რაც შედეგია სისტემატიური მოუსავლობის, საქონლის სანახევროდ გაწყვეტის, და წარსული გაზაფხულის სამხედრო ოპერაციების, რომელსაც თან დაჰყვა მენშევიკების მიერ დანგრეული ოსეთის რაჭის ხარჯზე აღდგენა და მრავალი სხვა.

თუ ეხლავე არ იქნა მიღებული საჩქარო ზომები მცხოვრებთა მოსამარაგებლად სურსათით, სულ ახლო ხანში ხალხი ჩავარდება სიმშილის კლანჭებში და განმეორდება ის სურათი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ვოლგის მხარეებში. რომ ცარიელ სიტყვებათ არ იქნეს მიჩნეული ზემო ნათქვამი, მე მოვიყვან სტატისტიკურ ცნობებს შარშანდელი, 1921 წლის მოსავლის და სურსათის წლიური მოთხოვნილების შესახებ. წინდაწინვე უნდა შევნიშნო, რომ რაჭის მაზრაში მაცხოვრის სიმცირის გამო ერთ სულზე მოდის საარგი მიწის 0,24 დესეტინა — საუკეთესო მოსავლიანობის დროსაც კი განიცდიდა მწვავე სასურსათო კრიზისს, თუ კი ამა თუ იმ მიზეზის გამო სურსათი არ შემოდიოდა მაზრაში. საერთოდ პურეულობის დიდი დანაკლისი ივსებოდა ხოლმე სხვა ადგილებიდან შემოტანილი სურსათით — განსაკუთრებით კი ჩრდილოეთ კავკასიიდან.

1921 წელში ცუდ მოსავალთან ერთად შეწყდა აგრეთვე სურსათის შემოზიდვა სხვა ადგილებიდან.

იმავე დროს თვალსაჩინოთ დაეცა რაჭის გლეხობის სყიდვითი ძალა, რაც აიხსნება ერთი მხრით მაზრის გარეშე სამუშაოზე გამსვლელთა კლებით. საგრძნობლად შემცირებით და იმავე, მოუსავლობით რამდენიმე წლების განმავლობაში. უკანასკნელ წლებში რაჭის გლეხობა დაადგა გადაშენების და დაცემის გზას. ერთად ერთი საშუალება მის მის გადასარჩენად დაღუპვისაგან არის გადასახლება. სხვა მიწით მდიდარ რაიონებში. საჭიროა სანახევროდ მაინც განიტვირთოს მაზრა მცხოვრებთაგან და მიწად მოქმედების კომისარიატი უნდა დაგვეხმაროს ამ არსებითად საჭირო საქმეში. არ იქნება რაჭველი გლეხებისთვის მიწის რეფორმა, თუ არ მოეწყო გადასახლება.

მაგრამ ეს უფრო შორეულ მომავალს, თუმცა ახლო მომავალს, ეხლა კი უნდა მივეშველოთ მაზრას და ავაცილოთ გამანადგურებელი სიმშილი, რომლის საშიში დაახლოვებით არის გამორკვეული. 1917 წლის სტატისტიკური ცნობების მიხედვით რაჭის მცხოვრებთა რაოდენობა უდრის 84,502 სულს.

ცნობები წლიურად საჭირო სურსათის და შარშანდელი მოსავლის შესახებ ასეთია:

ყანების დასათესად საჭიროა — 135,183 ფ. მცხოვრებთა გამოსაკვებად 15 ფუთის ანგარიშით სულზე წელიწადში — 1,267 530 ფ. სულ საჭიროა 1,402,713 ფუთი. შარშანდელი წლის მოსავალი მთლად უდრის — 454,400 ფუთს მაშასადამე მცხოვრებთა გამოსაკვებად მაზრას აკლდება 957 313 ფუთი პურეულობა. ეს დიდი დანაკლისი უნდა დაიფაროს შემოტანილი სურსათით. ზევით იყო ნათქვამი, რომ რაჭის გლეხობა უმეტეს ნაწილად ცხოვრობდა შემოტანილი სურსათით წლიურად შემოდიოდა საშუალოდ 500,600 ათასი ფუთი პურეულობა. როგორი იყო ამ მხრით შარანდელი წლის საერთო და როგორია მიმდინარე წლის პერსპექტივები. 1921 წ. ჩრდილოეთიდან შემოვიდა რაჭის მაზრაში 30—40 ათასი ფუთი სიმინდი. საქართველოს სხვა რაიონებიდან კი თითქმის არაფერი შემოსულა.

იმედების დამყარება ახლო მომავალზე სრულებით მეტი იქნება, რადგანაც ჩრდილოეთ კავკასიაში სიმინდი მეტის მეტად გაძვირდა, დამშეულთა მოზღვავების გამო იქ. საქართველოს სხვა მაზრებიდანაც ბევრი არაფერი შემოიზიდება ჯერ-ჯერობით. ყოველ შემთხვევაში გურიიდან, სამეგრელოდან და კახეთიდან არ შემოტანილა 3,000 ფუთი ხორბალიც კი. თუმცა ამ რაიონებში რაჭის გლეხებს აქვთ შეძენილი შრომის ქირაში 30—40 ათასი ფუთი სიმინდი, რის გამოტანასაც ხელს უშლიან, როგორც ზევით ვსთქვი, სასურსათო ორგანიზაციები და რკინის გზის ადმინისტრაცია.

ამნაირად რაჭის 100 ათასი მცხოვრებლების გამოსაკვებად საჭიროა 900,000, ფ სიმინდი რომ შევამციროთ თვიური ხორმა, სულზე ნახ ფუთამდი ახალ მოსავლამდის საჭირო იქნება აუცილებლად 450,000 ფუთი სიმინდი. სურსათის ეს რაოდენობა რაჭის გლეხობამ უნდა მიიღოს, როგორც სახელმწიფო დახმარება. რაჭის გლეხობა მოუთმენლად უცდის თავისი მუშურ გლეხური მთავრობისაგან რეალურ დახმარებას, რომლის გარეშე მას არ ასცილდება საშინელი სიმშილი და ტანჯვა, რასაც აუცილებლად მოჰყვება მეურნეობის დაცემა და განადგურება.

**პ. წულუკიძე.**

# ქრონიკა

◆ **8 მარტი** — მუშა ქალთა საერთაშორისო დღე! (იხ. დღევანდელ ნომერში შრომის სახ. კომისარიატის ს. პროფკავშირების სათანადო დადგენილება).

◆ **პროფკავშირების კურსებში.** ს. პ. კ. ს. შრომის დაცვის განყოფილების მიერ 28 თებერვლიდან გახსნილია კურსები შრომის დაცვის კომისიების წევრთათვის. კურსებზე ლექციები იკითხება სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოის 6 საათიდან 9 საათამდე ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე — შრომის დაცვის, სოციალურ დაზღვევის ტეხნიკურ უშიშროების, საფაბრიკო-საქარხნო სანიტარიის და გიგიენის შესახებ. კურსებს ესწრება 180 მსმენელი.

◆ **გ. კაჯარტუზოვის იუბილე** ორშაბათს, მარტის 6 რუსთაველის თეატრში გაიმართება თეატრის მუშაკის გიორგი კაჯარტუზოვის 40 წლის იუბილეი. ითამაშებენ სომხურ ენაზე ოპერეტა „აშუღ ღარიბს“ მონაწილეობენ საუკეთესო ძალები.

◆ **ხუთშაბათს,** მარტის 9 ს რუსთაველის სახელმწიფო დრამის თეატრში წარმოდგენილი იქნება პოლონეთის გამოჩენილი მწერლის ჰენრიკ სენკევიჩის რომანიდან „ვიდრე ხვალ უფალო“! გადმოკეთებული პიესა „ვიდრე ხვალ“. თარგმანი აკაკი წერეთლისა 6 სურათად. მონაწილეობს მთელი დასი, სახელმწიფო აკადემიური ბალეტი, ხორო, ორკესტრი, დადგმა აკაკი ფალავასი. წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 7 ნახ. საათზე.

# საუბარი ამიერ-კავკასიის სავაჭრო წარმომადგენელთ ნ ამხ. მოდებაძესთან

## ამიერ-კავკასია ექსპორტიორი

**სტამბოლი.** 2 თებერ. გაზეთი „ერკირ“ აქვეყნებს თავის თანამშრომლის საუბარს ამიერ კავკასიის სავაჭრო წარმომადგენელ მოდებაძესთან, რომელმაც სთქვა: უკანასკნელ ხანებში შენელდა სავაჭრო გაცვლა-გამოცვლა ამიერ-კავკასიას და კონსტანტინეპოლის შორის. საქმე იმაშია, რომ აქამდე ამიერ კავკასიის წარმომადგენლობამ სტამბოლში მოახდინა მხოლოდ შეყიდვითი ფართო ოპერაციები ამიერ კავკასიის ხალხების მოსამარაგებლად. ეხლა ეს ერები საკმარისად მომარაგებული არიან სურსათის და საქონლის მხრივ, რის გამო შესყიდვითი ოპერაციები შეჩერებულია. შემდეგში ამიერ კავკასია უნდა გამოვიდეს, როგორც ექსპორტიორი. ამიერ-კავკასიაში არის ეხლახან ნედლი საქონელი რამდენიმე მილიონ გირვ. სტერლინგად ღირებული. მალე ჩვენ გამოვალთ მსოფლიო ბაზარზე, როგორც სერიოზული გამყიდველნი.

მაშინ ევროპის ბაზრის დაინტერესება ამიერ-კავკასიით გაძლიერდება და სავაჭრო ოპერაციები საზღვარგარეთის ფირმებთან გაიზრდებიან ახალი ინტენსივობით.

ჩვენს განკარგულებაშია პირველად ყოვლისა შავი ქვა, ჯაგარი, თამბაქო, აბრეშუმი, ბამბა, ტყავი, ნიხები, მინერალური ზეთი და ბოლოს — ნავთი.

მე ვფიქრობ, რომ ჩვენი საექსპორტო სავაჭრო ოპერაციები ორი თვის შემდეგ გამოიჩენენ საკმაო ძალას. მე ვფიქრობ ახლო მომავალში ჰოლანდიაში გამგზავრებას, ეკონომიური მოლაპარაკებისთვის, რადგანაც ჰოლანდიამ გამოსთქვა სურვილი მოახდინოს შესყიდვა ქართველი მარგანეცის. ერთდა იმავე დროს, ევროპაში განიხილავენ სხვა საკითხთა მთელ რიგს, რომელიც დაკავშირებულია ამიერ კავკასიის რესპუბლიკების გამოსვლასთან გარეშე ბაზარზე.

ევროპაში მე უნდა ვინახულო ამხ. კრასინი. მე მას აუცილებლად უნდა მივაწოდო ინფორმაცია ჩვენი სავაჭრო მდგომარეობის შესახებ საგარეო ბაზარზე, და საზოგადოდ გავაცნო ის ამიერ კავკასიის ფინანსიურ ეკონომიურ მდგომარეობას, რაიც საჭიროა მომავალ გენუას კონფერენციის გამო.

# პროვინციაში

**დაბა აბაშა.**

25 თებერვალს დ. აბაშაში გაიმართა რაიონული მიტინგი საქართველოში საბჭოთა მთავრობის არსებობის ერთი წლის თავის დღესასწაულის აღსანიშნავად.

მიტინგის გახსნამდი კომპარტიისა და ახალგაზრდათა კომკავშირის წევრებისაგან შედგარი კომრაზმის ალლუმი მიიღო ამხ ილია ჭანტურაიამ, რომელიც, აბაშის რაიპარტკომის სახელით მიტინგის გახსნის შემდეგ მიესალმა კომრაზმს.

25 თებერვლის დღესასწაულის შესახებ შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა მამანტი მიმინოშვილმა, კაჭარავამ, გიორგი ფრანგიშვილმა და სხ.. ორატორებს ტაშით აჯილდოვებდენ და მუსიკა ასრულებდა ინტერნაციონალს.

თავმჯდომარემ კრებას განუცხადა თუ ვინმეა მსურველი სიტყვის თქმისა, ელაპარაკათ, მაგრამ არავინ არ გამოსულა, მხოლოდ შემოვიდა წერილობითი შეკითხვები, რაზედაც სათანადო პასუხი გასცეს ამხანაგებმა.

გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია, რომ მუშებმა და გლეხებმა მენშევიკური მთავრობის ბორკილების დალეწვის და საბჭოთა ძალა-უფლების გამოცხადების შემდეგ თავისუფლად ამოისუნთქეს, — მუშათა კლასის ინტერესების დამცველად აღიარებენ საბჭოთა მთავრობას და მის თავგამოდებულ დარაჯად კომპარტიას, ზიზღს უცხადებენ მენშევიკებს და სხვა მშრომელი მასის მოღალატე პარტიებს, აღიარებენ ყველა ქვეყნის მშრომელთა საყურადღებოდ, რომ აბაშის რაიონის მშრომელი ხალხი კმაყოფილია საბჭოთა ძალაუფლებით, ყოველგვარ ცდას საქართველოდან გაქცეულ მენშევიკურ მთავრობისას გამოვიდეს საქართველოს ხალხის სახელით, ვითომდა ხალხის შელახული უფლებების აღსადგენად, სთვლიან მოღალატეურ ნაბიჯად და საქვეყნოდ დაჰგმობენ მას წარსულ შეცდომების განმეორებისთვის.

კომრაზმმა მუსიკით და წითელ დროშებით გაიარა მთავარ ქუჩებზე...

უფასოდ დაურიგდა სოფლის მუშებს სხვა და სხვა გაზეთები, რის შემდეგ ხალხი დაიშალა.

როგორი ზეიმითაც და სიხარულით ერთი წლის წინად მენშევიკური მთავრობის დამხობის დროს, სოფლის მუშები პარტიულ ამხანაგებთან ერთად შეხვდენ მუსიკით და დროშებით საქართველოს მუშათა კლასის განმანთავისუფლებელ [illegible] წითელ არმიას [illegible]ბის ტ[illegible]ტის ბრჭყალებისაგან, იმავე ზეიმით ჩატარებულ იქნა საბჭოთა მთავრობის არსებობის ერთი წლის თავის დიადი დღესასწაული მშრომელების მიერ.

**ფან—ფანი.**

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

**დადგენილება № 15.**

**შრომის სახალხო კომისარიატის და ს. პ. კ. ს. შრომის მომწესრიგებელ და წარმოების მომწყობ განყოფილების, 1 მარტი 1922 წ.**

**მუშა-ქალთა სამუშაო დროს შემოკლების შესახებ 8 მარტს 1922 წ.**

იმ მიზნით, რომ ყველა მუშა-ქალებმა შეიძლონ მონაწილეობის მიღება ქალების საერთაშორისო პროლეტარულ სოლიდარობის დღესასწაულში, შრომის სახალხო კომისარიატმა და ს. პ. კ. ს. შრომის მომწესრიგებელმა და წარმოების მომწყობმა განყოფილებამ დაადგინა:

1. ა. წ. 8 მარტს ყველა წარმოებებსა და დაწესებულებებში, როგორც სახელმწიფო, ისე კერძოებში, ქალები უნდა განთავისუფლებულ იქნან მუშაობისგან დღის 12 საათზე იმ შემთხვევაში, თუ ეს განთავისუფლება არ გამოიწვევს მთელი წარმოების ან დაწესებულების მუშაობის შეწყვეტას.

2. ამ დღესასწაულის დროს სამუშაო დღის შემოკლებისთვის არაფერი არ უნდა იქნას გამოქვითული სამუშაო ქირიდან.

3. იმ შემთხვევაში, როცა მუშა ქალების განთავისუფლებას შეუძლიან ზარალი მოუტანოს საზოგადოებრივ — საჭირო წარმოებებს სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით, ადმინისტრაციამ უნდა წარუდგინოს კავშირთა სათანადო გაერთიანების შრომის მომწესრიგებელ და წარმოების მომწყობ განყოფილებას განცხადება ამ დადგენილების შეჩერების შესახებ ხსენებულ წარმოებათა მიმართ.

4. იმ წარმოებებში, სადაც მუშაობა, წინა მუხლების (მ. მ. 1 და 3) ძალით არ შესწყდება, ქალების მიერ ნამუშევარ დროსთვის 12 საათის შემდეგ, მათ ერთი ორად მიეცემათ გასამრჯელო.

შრომის სახ. კომისარი **ა. მიქაძე.**

ს. პ. კ. ს. მდივანი **კ. ოდილავაძე.**

ს. პ. კ. ს. შრომის მომწესრიგებელ და წარმოების მომწყობ განყოფილების გამგე **მ. ჯუღელი.**

# ბიბლიოგრაფია

## სტატისტიკური ატლასი

**სტატისტიკური ატლასი.**

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის სტატისტიკურმა განყოფილებამ გადასდგა ამ მძიმე პირობებში მეტად საყურადღებო და მასთან საპასუხისმგებლო ნაბიჯი.

მაშინ, როდესაც მთელი აპარატი საადმინისტრაციო მუშაობისა 1921 წ. დანგრეულია და საბჭოთა დაწესებულებებში კიდევ ჯერ ვერაა სავსებით მოწესრიგებული მუშაობა, ამ დროს სტატისტიკური განყოფილება მთელ თავის ენერგიას ანდომებს დედაქალაქის — თბილისის მცხოვრებლების გამოკვლევას, შესწავლას; 1921 წლის განმავლობაში შეკრებილ მასალას თავს უყრის და სცემს **სტატისტიკურ კრებულს** — ატლასს.

ამ კრებულში გაშუქებულია თბილისის ეკონომიური ცხოვრება და წარმოადგენს აგრეთვე მასალას 1921 წლის საბჭოთა ხელისუფლების მუშაობის ანგარიშსაც.

ამ კრებულში ღირსშესანიშნავია აგრეთვე შედარება, რომელიც გატარებულია დანარჩენ წლებთან და სხვა და სხვა ევროპიულ ქვეყნების ცნობებთან.

კრებული არა მარტო ციფრებითაა შევსებული, არამედ ყოველ ცხრილს თან ახლავს განმარტება-ტექსტი.

მკითხველისათვის ნათლად წარმოსადგენად და ყოველი ცხრილის განსამარტავად კრებულის ბოლო ნაწილში არის მოთავსებული დიაგრამები.

ატლასი დიდი ფორმატისაა. სიგანიერე მისი არის 33 ნახ. სანტიმენტრი, სიგრძე კი 42 ნახ. სანტ. და შეიცავს 170 გვერდს; დაბეჭდილია საუკეთესო ქაღალდზე.

კრებული სამი ნაწილისაგან შესდგება:

1. ეკონომიური სტატისტიკა, 2. დემოგრაფია და 3. დიაგრამები.

I. **ეკონომიურ სტატისტიკაში** მოთავსებულია შემდეგი ცნობები: 1. ფასების რყევა თბილისის ბაზარზე, 2. უცხო ვალიუტის კურსი, 3 თბილისის მცხოვრებთა გამოკვლევა 4. თბილ. მუშა-მოსამსახურეთა გამოკვლევა, 5. სამუშაო ხელფასი და საბაზრო ფასები, 6. ქალ. ფინანსიური მეურნეობა, 7. თბილისის ტრამვაი, 8. წყალსადენი, 9. აბანოები, 10. სასაკლაო, 11. ელექტრონის სადგურები, 12 საბჭოთა სახლები, 13. კომუნალურ მეურნეობის ტანისამოსის სახელოსნო, 14. ცეცხლის გაჩენის სტატისტიკა და 15. ვაჭრობა მრეწველობა თბილისში.

II. **დემოგრაფიაში მოთავსებულია:** 1. თბილისის მოკლე დახასიათება და მცხოვრებთა შემადგენლობა, 2. თბილ. შენება, 3. ბინის საკითხი 4. მცხოვრებთა მექანიკური მოძრაობა, 5. სწავლა-განათლების საქმე, 6. სოციალური დახმარება, 7. კრიმინალური სტატისტიკა, 8. ავადმყოფობანი, 9. საბჭოთა აფთიაქების მოქმედება, 10. მწვავე გადამდები ავადმყოფობა, 11. ყვავილის და პარტახტიანი ტიფის მკვლელობა, 12. ხოლერის მსვლელობა, 13. საექიმო საქმე საქართველოს რესპუბლიკაში 1921 წელს.

**უკანასკნელი ნაწილი, მე 3, არის დიაგრამები,** რომელიც თითეულ ზემოჩამოთვლილ მოვლენის გასაგებად სრულ სურათს იძლევა.

ასეთია მოკლედ შინაარსი ატლასისა.

ვინც ამ მასალას გაეცნობა ის დარწმუნდება, რომ ატლასი შინაარსიანია და დაკვირვებით არის შედგენილი. რასაკვირველია, ატლას ნაკლულევანებაც აქვს. სახელდობრ: ატლასში მოთავსებულია მარტო ქალ. აღმასრულებელ კომიტეტის ცხოვრება. სასურველი კი იყო, რომ მოთავსებული ყოფილიყო ქალაქის მთელი ცხოვრება, როგორც მაგალითად მრეწველობის, კოოპერაციის, სატრანსპორტო და სხვა დარგის მდგომარეობა და ფართო მასშტაბით.

მაგრამ მიუხედავად ამისა ღირსება მისი დიდია და აღსანიშნავია, მეტადრე, რომ სტატისტიკურ განყოფილებას უხდებოდა მუშაობა არა ნორმალურ პირობებში.

საქართველოს რესპუბლიკა სტატისტიკით, საზოგადოთ ღარიბია.

დღეს ეყრება საფუძველი ამ კრებულით ჩვენ სტატისტიკას და მმართველებს ქვეყნის აღმშენებლობისათვის მისცემს მასალას შემდეგში სწორი გზით გადასდგან ესა თუ ის ნაბიჯი.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ ატლასის გამოცემაში დიდი შრომა და ენერგია მიუძღვის განყოფილების გამგეს **ა. რუხაძეს,** მის თანაშემწეს **ი. ჯანდიერს** და განყოფილების თანამშრომლებს.

ვიმედოვნებთ, რომ მომავალში უფრო ენერგიულად და დაღალავად იმუშავებენ ჩვენი სახელმწიფო სტატისტიკის ასაღორძინებლად და გასამტკიცებლად.

**ალ—მა.**

**სარედაქციო კოლეგია.**


# ხელის მომწერთა საყურადღებოდ

სახელმწიფო გამომცემლობა აუწყებს გაზ. „პრავდა გრუზიი“, „კომუნისტი“, „კარმირ ასტღ“ და „ნოვაია მისლის“ ყველა ხელის მომწერლებს (სახელმწიფო დაწესებულებებს, პარტიულ და მუშათა ორგანიზაციებს და კერძო პირებს, რომ შემდეგში გაზეთები გაეგზავნებათ მათ მხოლოდ მარტის ხელის მოსაწერი ფასის გადახდის შემდეგ.

დაწესებულებებს და პირებს, რომლებიც არ შემოიტანენ თებერვლის და მარტის ფასს, შეუწყდებათ გაზეთების გაგზავნა 1 მარტიდან.

ხელის მოწერა მიიღება სახელმწიფო გამომცემლობაში (ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5).

(6—2)

# შაბიამანი

ქიმიური ქარხანა ატომი

ჭვიდის შაბიამანს.

ელისაბედის ქუჩა, № 204.